



ახალი ბანათლები

№4 (598) ბაშოლის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



უნივერსიტეტი - 95

საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების იდეა XIX საუკუნის დასაწყისში, რუსეთის იმპერიისაგან ჩვენი სამშობლოს გათავისუფლებისათვის ბრძოლის გაძლიერებასთან ერთად დაიბადა.

XIX საუკუნის სამოციან წლებში საქართველოში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ახალი თაობა, დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, რომელთანაც დაკავშირებულია სულიერი აღორძინების ახალი ეტაპი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ამ წლებში განსაკუთრებით გააქტიურდა უნივერსიტეტის დაარსებისათვის ბრძოლა.

უმალესი სკოლის შექმნის რეალური შესაძლებლობები კიდევ უფრო გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც თბილისში დაარსდა სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი. იგი რუსეთის იმპერიაში არსებულ ბანკებს შორის ერთადერთი იყო, რომელიც თავის შემოსავალს ერის კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეურნეო ინტერესებს ახმარდა.

XX საუკუნის დასაწყისიდან ქართული უნივერსიტეტის დაფუძნების ორგანიზატორი გახდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღზრდილი და მისი პრივატ-დოცენტი ივანე ჯავახიშვილი. იგი სამართლიანად ითვლება ილია ჭავჭავაძის გზის გამგრძელებლად ქართული ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნებისა და გაძლიერების თვალსაზრისით.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე პეტერბურგში მყოფმა ივანე ჯავახიშვილმა აქტიურად დაიწყო უმალესი სასწავლებლის გახსნისათვის მზადება და გაზაფხულზე უკვე სამშობლოში დაბრუნდა, რათა ხორცი შეესხა თავისი ოცნებისათვის.

12 მაისს, თბილისში, პეტრე მელიქიშვილის ბინაში, უნივერსიტეტის საზოგადოების დაფუძნებელთა პირველი შეკრება გაიმართა. კრებას ექვთიმე თაყაიშვილი ხელმძღვანელობდა. ამ დღეს დაარსდა „ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის“ საზოგადოება, რომელმაც დიდი როლი ითამაშა უნივერსიტეტის დაარსების საქმეში.

1917 წლის შემოდგომაზე უნივერსიტეტის დაფუძნებელთა მუშაობა უმალესი სასწავლებლის გახსნისათვის კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა. გადაწყდა, რომ თავდაპირველად დაარსებულიყო მხოლოდ ერთი – სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი, რომელიც გააერთიანებდა პუბლიცისტურ და პოეტურ, აგრეთვე, ბუნებისმეტყველებასა და მათემატიკას. დეკემბრის ბოლოს პრესაში უკვე გაჩნდა განცხადება ქართულ უნივერსიტეტში სტუდენტების მიღების შესახებ.

1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით, 8 თებერვალს), დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, თბილისის გარეუბანში, ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში, საზეიმოდ გაიხსნა კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი, რომელმაც, ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების გათვალისწინებით, საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ევროპული ტიპის უმალეს სკოლას.

სტუმრების მიღება და დღესასწაულის ხელმძღვანელობა ილია ჭავჭავაძის დისწულმა, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ კოტე აფხაზმა იტვირთა.

უნივერსიტეტი აკურთხა და მომავლის გზა დაულოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ მეორემ.

შენობის ხუროთმოძღვარია პირველი ქართველი არქიტექტორი, რომელსაც აკადემიური განათლება ჰქონდა მიღებული – სიმონ კლდიაშვილი, მშენებლობის ორგანიზატორი და სულისჩამდგემელი კი – ცნობილი ქართველი პედაგოგი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ნიკოლოზ ცხვედაძე.

ახალდაარსებულ უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდნენ: ივანე ჯავახიშვილი, იუსტინე აბულაძე, გიორგი ახვლედიანი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, ელისაბედ ბაგრატიონ-ორბელიანი, დიმიტრი უზნაძე, ვანდა ლამბაშიძე, ილია ყიფშიძე, იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, ანდრია ბენაშვილი, ანდრია რაზმაძე, ივანე ბერიტაშვილი, გრიგოლ წერეთელი.

უნივერსიტეტის პირველ რექტორად პროფესორთა კოლეგიამ ცნობილი ქიმიკოსი, ღვაწლმოსილი პროფესორი პეტრე მელიქიშვილი აირჩია. თავიდან მუშაობას შეუდგა ერთადერთი – სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი. პირველი ლექცია, რომელიც 1918 წლის 30 იანვარს შედგა, ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა წაკითხა. პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობა, 1918 წლის დასაწყისისათვის, 18 კაცს ითვლიდა. სწავლას შეუდგა 369 სტუდენტი და 89 თავისუფალი მსმენელი.

მოგვიანებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე, შეიქმნა სხვადასხვა უმალესი სასწავლებელი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა სახელოვანმა მეცნიერებმა საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი საქართველოს.

1919-1926 წლებში თსუ-ს რექტორი იყო ივანე ჯავახიშვილი. 1926 წელს, საბჭოთა რეჟიმის გადაწყვეტილებით, იგი გაათავისუფლეს რექტორის მოვალეობისგან. ამასთან, მას კარგა ხნით აეკრძალა მის მიერვე დაარსებულ უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვა.

1992 წელს თსუ-მ ავტონომიური უმალესი სასწავლებლის სტატუსი აღიდგინა (მართავს დიდი საბჭო), რაც 1926 წლის შემდეგ დაკარგული ჰქონდა.

1989 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მისი დამაარსებლის – ივანე ჯავახიშვილის სახელი მიენიჭა.



სხვადასხვა ტიპის ტესტური დავალებები ისტორიაში

წერილი I

ვაგრძელებთ წერილების ციკლს, რომლებშიც მასწავლებლებს გავუზიარებთ საკუთარ გამოცდილებას და წარმოგიდგინებთ სხვადასხვა ტიპის ტესტებს თუ დავალებებს, რომლებიც დაგეხმარებათ როგორც სასერტიფიკაციო გამოცდისთვის მომზადების დროს, ასევე მოსწავლეთა სწავლების პროცესში – საკლასო თუ შემადგამებელი დავალებების მომზადებისას. გაზეთის დღევანდელ ნომერში წარმოგიდგინებთ ტესტის ტიპს – **წაკითხვის გააზრება**. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ისტორიის სასერტიფიკაციო გამოცდაზე ზუსტად ასეთი ტიპის ტესტი ჯერ არ შეგვხვედრია; თუმცა, ანალოგიური ტესტი გამოიყენება მაგისტრანტების გამოცდების დროს და, როგორც ჩანს, გამოცდების და შეფასების ცენტრის ზოგადი და პროფესიული უნარების ჯგუფის მიერაა შედგენილი. ჩემი აზრით, ასეთი ტესტები შეიძლება გამოიყენონ საგნობრივი ტესტების შედგენის დროსაც, კონკრეტულად კი ისტორიის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის დავალებებში. ასეთი ტესტები დაეხმარება მასწავლებლებს მოსწავლის უნარ-ჩვევების შესაფასებლად, ასევე ნაწილობრივ წარმატებით ჩაანაცვლებდნენ ისტორიის სასერტიფიკაციო გამოცდის ტესტში საკმაოდ დიდი დროით წარმოდგენილ დავალებებს, რომლებიც მხოლოდ მასწავლებელთა ფაქტობრივი ცოდნის შემოწმებას ემსახურება.

ქვემოთ მოცემულია ორი ტესტი: **ა** და **ბ**. თითოეულს ერთი შეკითხვა და საკმაოდ პასუხებით. გააზრეთ ტესტი და თითოეული შეკითხვის საკმაოდ პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია ტესტის მიხედვით. ორივე ტესტის პირველ ხუთ დავალებაში ორი პასუხია სწორი, ხოლო მეექვსეში – ერთი. შესაბამისად, თითოეული ტესტის პირობითი მაქსიმალური შეფასებაა 11 ქულა.

ტესტი ა

„არაბები სამხრეთ-დასავლეთ აზიაში არაბეთის ნახევარკუნძულზე ცხოვრობდნენ. ამ ვრცელ და მრავალფეროვან ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები, ბუნებრივია, თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური ყოფითა და განვითარების დონით ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ. ჩრდილოეთით მოსახლე არაბები, რომლებსაც ბედუინებს უწოდებდნენ, მომთაბარეობასა და ნადირობას მისდევდნენ. მაგრამ მწირსა და უდაბნო ქვეყანაში ეს საარსებოდ საკმარისი არ იყო, ამიტომ მესაქონლეობასა და ნადირობასთან ერთად ისინი ქარავნების ძარცვა-არბევასაც ეწეოდნენ. სამხრეთის ტომები მათ ქვეყნებზე გამავალი სავაჭრო-საქარავნო გზების წყალობით ცხოვრობდნენ. ძირითადი მაგისტრალი (ე.წ. „გუნდრუკის გზა“) ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებს ინდოეთთან აკავშირებდა. ამ გზაზე აღმოცენდნენ მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქები – მექა და იასრიბი (შემდ. მედინა). გარდა ამისა, მექა იყო რელიგიური ცენტრიც. მექა არაბულ სამყაროში განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა. ამ მდებარეობა ქაბა, უძველესი წარმართული ტაძარი, რომლის ორ კუთხეში ჩატანებული იყო ორი წმინდა ქვა, ხოლო შუაში იდგა ყველაზე პატივსაცემი კერა; ასევე სხვადასხვა ღვთაებების ტაძრების კომპლექსები. მომლოცველობის სეზონის დროს მექაში ათიათასობით არაბი იყრიდა თავს, რასაც ქალაქისთვის დიდი შემოსავალი მოჰქონდა. 632 წელს არაბთა მიწა-წყალზე შეიქმნა სახელმწიფო – არაბთა სახალიფო, რომელსაც მუჰამედმა ჩაუყარა საფუძველი. მუჰამედს ღარიბი მექელი ვაჭრის შვილი იყო. იგი ადრევე დაობლდა და ბიძასთან, ვაჭარებში იზრდებოდა. როგორც სხვა მრავალი არაბი, თავს თხების მწყემსვით ირჩენდა, მაგრამ, როცა მოიზარდა, ქარავნების გაცლილება დაიწყო. ქალაქი – უდაბნო – ქალაქი – და ასე დაუსრულებლად. მუჰამედი ამ მოგზაურობის დროს ეცნობოდა სხვადასხვა ხალხებს, იუდეველებისა და ქრისტიანების სარწმუნოებას, ერთმანეთს ადარებდა ქალაქურ და მომთაბარე ბედუინების ცხოვრების წესს. 24 წლის ასაკში მუჰამედი დაქორწინდა ერთ მდიდარ ქვრივზე – ხადიჯაზე და ვაჭარი გახდა.

თუმცა მატერიალურმა კეთილდღეობამ მას სულიერი სიმშვიდე არ მოუტანა. ორმოცი წლის მუჰამედს ხილვები დაეწყო: ამბობდა, რომ იგი ალაჰის (ღმერთის) მიერ მოვლენილი მოციქული იყო. ხალხმა მუჰამედის ქადაგების სმენა დაიწყო. მისი მოძღვრება ოთხ ძირითად პრინციპს ეფუძნებოდა: 1. რწმენა იმისა, რომ არის ერთი ღმერთი (ალაჰი) ყველაფრის და ყოველივეს შემომქმედი; 2. რწმენა ღვთის სიტყვისა, რომელიც გაცხადებულია ყურანში და ღვთის მოციქულებისა, რომელთა შორის მუჰამედი არის მთავარი და უკანასკნელი; 3. ანგელოზების რწმენა; 4. სიკვდილის შემდეგ აღდგომის და უკანასკნელი სამსჯავროს რწმენა. ადამიანები მიდიოდნენ მუჰამედთან სახლში, რათა ერთად ელოცათ. ესენი იყვნენ პირველი მუსლიმები, ანუ „ღმერთმინდობილი“ (მუსლიმი არაბულად „ღმერთის მინდობილნი“ ნიშნავს, მაჰმადიანი კი „მუჰამედის მიმდევარს“). მუსლიმები სხვადასხვა არაბული გვარისა და ტომის წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ ისინი, როგორც მოციქული ასწავლიდა მათ, ერთმანეთზე ზრუნვასა და სიყვარულში ცხოვრობდნენ. მექის წარჩინებულმა საზოგადოებამ არ მიიღო მუჰამედის მოძღვრება. ამ ქალაქის მოსახლეობა, როგორც მთელი არაბეთი თავყვანს სცემდა უმალეს ღვთაებას ილაჰს ანუ ალაჰს, სამ ქალღმერთს, მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს, ხეებს, კლდეებს, ქვებს. მათთვის განსაკუთრებით მიუღებელი აღმოჩნდა მუჰამედის სიტყვები, რომ ყველა წარმართი წინაპარი ჯოჯოხეთის ცეცხლში იწვოდა; ასევე ის, რომ ქალაქის მცხოვრებლების აზრით, წარმართული ღვთაებების უარყოფა გამოიწვევდა მექის, როგორც რელიგიური ცენტრის დაცემას. მალე მუსლიმების დევნაც დაიწყო“.

1. ტესტის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრებაა მართებული?

- ა. მექის მოსახლეობას ეშინოდა მუჰამედის გამდიდრების და გავლენის გაზრდის;
- ბ. მექის მოსახლეობას ეშინოდა მუჰამედის მომხრე ქალაქის – იასრიბის მექაზე გავლენის გავრცელების;
- გ. მექის მოსახლეობას ეშინოდა მექაში მომლოცველთა კლების გამო შემოსავლების დაკარგვის;
- დ. მექის მდიდარ მოქალაქეებს ეშინოდათ მუჰამედის მომხრეების იმის გამო, რომ მათ ქონებას წაართმევდნენ;
- ე. მექის მოსახლეობისთვის მიუღებელი იყო მუჰამედის მოსაზრება ერთი ღმერთის შესახებ.

2. არაბული ცივილიზაცია განვითარდა და გაერთიანებული სახელმწიფო შეიქმნა არაბეთის ნახევარკუნძულის არა ჩრდილოეთ, არამედ სამხრეთ ნაწილში იმიტომ, რომ:

- ა. აქ უფრო ძლიერი სამხედრო შენაერთები იყო;
- ბ. აქ განვითარებული იყო მინათმოქმედება, ხოლო ჩრდილოეთში მესაქონლეობა;
- გ. აქ მდებარეობდა უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზა და სავაჭრო ცენტრები;
- დ. მის დაპყრობას არ ცდილობდნენ უფრო ძლიერი მეზობელი ქვეყნები;
- ე. მასზე დიდ გავლენას ახდენდნენ ქრისტიანული ბიზანტია და მახადეანური სპარსეთი.

3. ჩამოთვლილთაგან რა არ გამომდინარეობს ტესტიდან?

- ა. მუჰამედის მოძღვრება ცნობდა ანგელოზებს;
- ბ. მუჰამედის მოძღვრების მიმდევრები გააძევეს მექიდან;
- გ. მუჰამედის მოძღვრება კრძალავდა წარმართების ძარცვას;
- დ. მუჰამედის მოძღვრება იყო დუალისტური რელიგია;
- ე. მუჰამედის მოძღვრება უარყოფდა სიკვდილის შემდგომ აღდგომას.

4. შენი აზრით, ისლამის მიღება:

- ა. არაბული ტომები იდეოლოგიურად გააერთიანა;
- ბ. დასცა არაბთა ვაჭრობა;
- გ. გამოიწვია მეზობელი სახელმწიფოების დასუსტება;

დ. მეზობელ დაპყრობილ ხალხებში დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა გააღვივა;

ე. შექმნა ერთიანი არაბული სახელმწიფო.

5. ტესტის ავტორის მთავარი მიზანია:

- ა. მოგვანოდოს ინფორმაცია ისლამის წარმოშობისა და განვითარების შესახებ;
- ბ. გვიჩვენოს არაბთა როლი მსოფლიო კულტურის განვითარებაში;
- გ. გვიჩვენოს მუსლიმური არაბეთის და ქრისტიანული ბიზანტიის დაპირისპირების შედეგები;
- დ. გააანალიზოს ისლამის წარმოშობის შედეგები მსოფლიოსთვის;
- ე. წარმოგიდგინოს ერთიანი არაბთა სახელმწიფოს წარმოშობის პირველი ეტაპები.

6. ჩამოთვლილთაგან რომელი გადმოსცემს ყველაზე უკეთ მოცემული ტესტის ხასიათს?

- ა. ნაწყვეტი პოლიტოლოგიური სტატიიდან;
- ბ. სამეცნიერო-პოპულარული სტატია ენციკლოპედიიდან;
- გ. პოლიტიკურ-ისტორიული ნარკვევი;
- დ. საინფორმაციო საგაზეთო სტატია;
- ე. ნაწყვეტი მსოფლიოს ისტორიიდან.

ტესტი ბ

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ტალიერანი ვენის კონგრესის შესახებ

„ისინი (გამარჯვებული ქვეყნები) ვაკვირვებულენ იყვნენ იმის გამო, რომ პარიზის დაკავების შედეგად მათ უმნიშვნელო სარგებელი მიიღეს. ... როგორ შეეძლოთ მათ, ევროპული სახელმწიფოების საბჭოზე დაეშვათ სახელმწიფო, რომლისგანაც ევროპა, 20 წლის მანძილზე, იარაღის მუქარის ქვეშ იყო? ... მე მალე შევიტყვე, რომ მათ უკვე შექმნეს კომიტეტი და ჩაატარეს თათბირი, რის თაობაზეც შეადგინეს ოქმი. ისინი იზრუნებდნენ, თვითონ გადაეწყვიტათ ის, რაც წინასწარ უნდა განხილულიყო კონგრესზე, თან გადაეწყვიტათ საფრანგეთის, ესპანეთისა და მეორეხარისხოვან სახელმწიფოთა გარეშე. მე შემიძლო, მხოლოდ იმის იმედი მქონოდა, რომ სახელმწიფოთა შორის თავს იჩენდა წინააღმდეგობები, როცა საქმე მიდგებოდა იმ ვრცელი ტერიტორიების განაწილებაზე, რომლებიც ომის მსვლელობაში აღმოჩნდა მათ განკარგულებაში. თითოეულ მათგანს სურდა, ან თავისთვის, ან მასზე დამოკიდებული ქვეყნისათვის მიეღო დაპყრობილი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი... ეს ბრძოლა მე არ მაძლევდა საბაბს, ჩავრეულიყავი საქმეებში, რადგან სახელმწიფოებმა დადეს წინასწარი შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავდა ყველაზე მნიშვნელოვანი ოქმების ბედს... საჭირო იყო ყველაფერი იმის ანულისობა, რაც გადაწყვეტილი იყო საფრანგეთის გვერდის ავლით. როცა საფრანგეთის წარმომადგენლები კონგრესზე ღიად გამოვიდნენ ლეგიტიმიზმის პრინციპის მხარდასაჭერად, სახელმწიფოებმა მისთვის მხარდაჭერის მზადყოფნა გამოხატეს... როდესაც ეს სახელმწიფოები (საფრანგეთი, ავსტრია, ინგლისი) დაარწმუნდნენ, რომ მათი ინტერესები თანხვედრა ლეგიტიმიზმის პრინციპებს, ხალისით აღიარეს მისი უპირატესობა სხვა სახელმწიფოთა გამოჩენის წინააღმდეგ. ამიტომ ისინი იქნენ მის დამცველებად და მალე საფრანგეთმა, ავსტრიამ და ინგლისმა ჩამოაყალიბეს საიდუმლო კავშირი რუსეთისა და პრუსიის წინააღმდეგ“.

1. ტესტის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრებაა მართებული?

- ა. გამარჯვებულმა ქვეყნებმა ვერ მიიღეს ის სარგებელი, რასაც ელოდნენ;
- ბ. საფრანგეთი არ დაუშვეს ვენის კონგრესზე;
- გ. საფრანგეთმა გამოიყენა დაპირისპირება გამარჯვებულ ქვეყნებს შორის;
- დ. გამარჯვებული ქვეყნები არ ცდილობდნენ დაპყრობილი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილის მითვისებას;
- ე. ვენის კონგრესმა კიდევ უფრო დააახლოვა რუსეთი და ინგლისი.

2. ვენის კონგრესის წარმატებულ დასასრულს ხელი შეუწყო იმან, რომ:

- ა. რუსეთმა, ინგლისმა და საფრანგეთმა გააფორმეს საიდუმლო შეთანხმება;
- ბ. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ყველა დაინტერესებულმა სახელმწიფომ;
- გ. დიდმა სახელმწიფოებმა გაიზიარეს ლეგიტიმიზმის პრინციპი;
- დ. დიდმა სახელმწიფოებმა არ გაითვალისწინეს დამარცხებული საფრანგეთის ინტერესები;
- ე. საფრანგეთი არ დაუშვეს კონგრესზე.

3. ჩამოთვლილთაგან რა არ გამომდინარეობს ტესტიდან?

- ა. საფრანგეთი ოცი წლის განმავლობაში ემუქრებოდა ევროპას;
- ბ. ევროპის დიდი სახელმწიფოები მოითხოვდნენ საფრანგეთის სრულ დანაწევრებას;
- გ. დიდ სახელმწიფოებს სურდათ ყველაფერი საფრანგეთის მონაწილეობის გარეშე გადაეწყვიტათ;
- დ. იტალია მუუერთა რუსეთ-პრუსიის კავშირს;
- ე. ორი გერმანულენოვანი სახელმწიფო ერთმანეთს დაუპირისპირდა.

4. შენი აზრით, ვენის კონგრესის გადაწყვეტილებები ხელს შეუწყობდა:

- ა. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ დიდი სახელმწიფოების ხელახალ დაპირისპირებას;
- ბ. XIX საუკუნის ევროპაში ომების არ დაწყების გარანტიას;
- გ. სამხედრო ბლოკების შექმნას;
- დ. საფრანგეთის სახელმწიფოს მეორეხარისხოვან ქვეყნად გადაქცევას;
- ე. ევროპის მცირე და დიდ ქვეყნების ჰარმონიულ განვითარებას.

5. ტესტის ავტორის მთავარი მიზანია:

- ა. წარმოაჩინოს საკუთარი დამსახურება საფრანგეთის წინაშე;
- ბ. მოგვითხროს სახვადასხვა ქვეყნების დაპირისპირების შედეგად გამოწვეული ომებზე;
- გ. გვიჩვენოს ვენის კონგრესის მნიშვნელობა XIX საუკუნის ევროპაში ომების პრევენციის საკითხში;
- დ. გვიჩვენოს საფრანგეთ-ინგლისის დაპირისპირების შედეგები;
- ე. გააანალიზოს, რატომ ვერ მიიღეს გამარჯვებულმა ქვეყნებმა ის სარგებელი, რასაც ელოდნენ.

6. ჩამოთვლილთაგან რომელი სათაური გადმოსცემს ყველაზე უკეთ მოცემული ტესტის ხასიათს?

- ა. ნაწყვეტი ნარატიული ისტორიული თხზულებიდან;
- ბ. ნაწყვეტი ლიტერატურული ნაწარმოებიდან;
- გ. ნაწყვეტი მემუარული ლიტერატურული;
- დ. ნაწყვეტი ვენის კონგრესის დასკვნითი აქტიდან;
- ე. ნაწყვეტი ეთნოგრაფიული ჩანაწერიდან.

სწორი პასუხები:

I ტესტი

- 1. გ და ე;
- 2. ბ და გ;
- 3. დ და ე;
- 4. ა. და ე;
- 5. ა და ე;
- 6. ე.

II ტესტი

- 1. ა და გ;
- 2. ბ და გ;
- 3. ბ და დ;
- 4. ა და გ;
- 5. ა და ე;
- 6. გ.

ბესიკ ლორთქიფანიძე, ისტორიის მეცნ. დოქტორი, მასწავლებელი, ლექტორი, ტრენერი

კონკურსი

პითაგორას თასი - 2013

ტურნირის „პითაგორას თასი - 2013“ I და II ტური დასრულებულია, სოლო III - დასრულებული. ყოველ შემდეგ ტურში მასპინძლის აუცილებელია დააბრუნოს თასი რაოდენობის მასპინძლის 90% მაინც.

2013 წლის 31 მარტამდე რვეული ჩააბარეთ პითაგორას საზოგადოების ოფისში ან გადმოგზავნეთ ელფოსტაზე: diophant_zura@rambler.ru ჩვენი მისამართი: უზნაძის ქ. №77, კულტურის სახლი „იმედი“ (შენვლა შესაძლებელია ტელეფონის მფლობელის, სომხეთის საელჩოს გვერდზე).

ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სად გაიმართება დასკვნითი ტური გამოქვეყნდება გაზეთ „ახალ განათლებაში“. ამავე გაზეთში დანიშნულია გამარჯვებულთა სია. საკონტაქტო ტელეფონები: 577 72-30-49, 2 79 36 93 (18.00 - 24.00)

რვეულის გარეკანზე დაწერეთ: გვარი, სახელი სკოლა კლასი

ფურის თავმჯდომარე ზურაბ ალდომილაშვილი

პასუხები და მიოთებები

5-1-1. ვინაიდან ცხენი თვის 1 ზეინს ჭამს 1 თვეში, ამიტომ 1 წელში (12 თვე) ის შეჭამს 12 ზეინს. ვინაიდან თხა 1 ზეინ თევს ჭამს 2 თვეში, ამიტომ 1 წლის განმავლობაში შეჭამს 6 ზეინს. ასევე, ვინაიდან 1 ზეინ თევს ცხენი ჭამს 3 თვეში, ამიტომ 1 წლის განმავლობაში 4 ზეინ თევს შეჭამს. ერთად, 1 წლის განმავლობაში, ისინი შეჭამენ 12+6+4=22 ზეინ თევს. აქედან გამომდინარე, ისინი ერთად ერთ ზეინს შეჭამენ 12/22=6/11 თვეში.

5-1-2. დიდი ნაწილი შემცირებული სამჯერ ტოლია მცირე ნაწილი გადიდებული ოთხჯერ. მასშტაბად, დიდი ნაწილი შეიცავს 3-4=12-ჯერ მეტ ცხენს ვიდრე მცირე ნაწილი. ცხენების საერთო რაოდენობა 10-ჯერ მეტია მცირე ნაწილზე, ამიტომ მცირე ნაწილი ტოლია 130:13=10 ცხენის, ხოლო დიდი ნაწილი ტოლია 130-10=120 ცხენის.

5-1-3. ვინაიდან ორი ვაშლის მიცემა ათანაბრებს ვაშლების რაოდენობას, ამიტომ ორი მეგობრიდან ერთ-ერთს 4 ვაშლი მეტი აქვს მეორეს. ამასთან, თუ ის მეგობარი, ვისაც უფრო მეტი რაოდენობა აქვს, მისცემს მეორეს 2 ვაშლს, ვაშლების სხვაობა გახდება 8. ვინაიდან ამ მეგობარს, ამ შემთხვევაში, აქვს ორჯერ მეტი ვაშლი, ამიტომ გადაცემის შემდეგ ერთს ექნება 8 ვაშლი, ხოლო მეორეს კი - 16. ყოველივე აქედან გამომდინარე, თავდაპირველად, ერთს ჰქონია 10 ვაშლი, ხოლო მეორეს კი - 14.

5-1-4. ვინაიდან ბოლოს თითოეულ მათგანს აღმოაჩნდა 8 ვაშლი და ეს ყოველივე მოხდა მაშინ, როდესაც III-ემ I-სა და II-ს მისცა ზუსტად იმდენი ვაშლი, რამდენიც ჰქონდათ გადაცემამდე, ამიტომ თითოეულ მათგანს გადაცემამდე ჰქონია 4 ვაშლი, ხოლო II-ს - 16 ვაშლი, მაშინ მეორე გადაცემამდე II-ს ჰქონდა 2 ვაშლი, ხოლო III-ს კი - 8. აქედან გამომდინარე, II-ს ჰქონდა 4+2+8=14 ვაშლი. ამრიგად, თავდაპირველად, II-ს ჰქონდა 7 ვაშლი, III-ს - 4, ხოლო I-ს 2+7+4=13 ვაშლი.

5-1-5. 30 დღეში ტურისტები გაიყვიან 30:10+30:15=5-ჯერ მეტ მანძილს ამ ქალაქებს შორის მანძილზე. აქედან გამომდინარე, ისინი შეხვდებიან 30:5+6 დღეში.

6-1-1. პასუხი: ხბო შეასწრებს სახლში. მეგლს სახლამდე სჭირდება 4+6=10 წუთი, ხბოს - 6 წუთი.

6-1-2. თავდაპირველად, გაკვეთილს აცდენდა გაკვეთილზე დამსწრეთა 1/6 ნაწილი, რაც იმას ნიშნავს, რომ გაკვეთილზე დამსწრეთა რიცხვი 6-ჯერ მეტია გამცდენთა რიცხვზე. ე.ი. გამცდენთა რიცხვი არის კლასის მოსწავლეთა მთელი რაოდენობის 1/7 ნაწილი. კლასიდან ერთი მოსწავლის გამოსვლის შემდეგ კლასში არმყოფ მოსწავლეთა რიცხვი იქნება 1/6 ნაწილი მოსწავლეთა მთელი რაოდენობისა. ე.ი. ერთი მოსწავლე შეადგენს 1/6-1/7=1/42 ნაწილს მოსწავლეთა მთელი რაოდენობისას, ანუ კლასში ყოფილა სულ 42 მოსწავლე.

6-1-3. სამმა მონაწილემ დაიკავა პირველი სამი ადგილი, მასშტაბად, დააგროვეს 15+14+13=42 ქულა. ამიტომ, დარჩენილმა ორმა მონაწილემ ერთად დააგროვა 69-42=27 ქულა. მასშტაბად, ერთს დაუგროვებია 14 ქულა, ხოლო მეორეს კი - 13 ქულა და ამრიგად დაიკავეს მეორე და მესამე ადგილი.

6-1-4. ვინაიდან 42-36=12-3, ამიტომ მოიძებნება ისეთი თვე, რომელშიც დაბადებული არის კლასის ოთხი თანაკლასელი.

6-1-5. ამოცანის პირობის თანახმად, 0-იანები და 1-იანები უნდა მონაცვლეობდნენ წრეწირზე, მასშტაბად მათი რაოდენობა სულ არის 40. ნახევარ წრეწირზე 0-იანსა და მის მოპირდაპირედ მდებარე 1-იანს შორის მოთავსებულია 19 ციფრი. ამიტომ ამ 19-იდან კიდურა ციფრები ერთნაირია, ვინაიდან 0-იანი და 1-იანი მონაცვლეობენ; მაგრამ ეს ერთნაირი ციფრები ერთდროულად 0-იანისა და 1-იანის მეზობლებია, რაც შეუძლებელია.

7-1-1. ამოცანა არ საჭიროებს არავითარ გამოთვლებს. ცხადია, რომ რამდენი ჩაიცი მოაკლდება პირველ ჭიქას, მას დაემატება იმდენივე რძე და ასევე მეორეშიც, რამდენი რძეც მოაკლდა, იმდენი ჩაი დაემატა. ამიტომ, პირველ ჭიქაში ყოველთვის იმდენივე რძეა, რამდენი ჩაიცი არის მეორეში, კარგად მორევისგან დამოუკიდებლად. ასევე პასუხები არ არის დამოკიდებული გადასხმათა რაოდენობაზე.

7-1-2. ადვილი საჩვენებელია, რომ ასეთი დაჭრების თითოეულ შემთხვევაში ვღებულობთ (4k+5) ტიპის რიცხვებს. ხოლო 2004 არ არის ასეთი ტიპის რიცხვი, ვინაიდან განტოლებას 4k+5=2004 არ გააჩნია ნატურალურ რიცხვებში ამონახსნი. ე.ი. შეუძლებელია.

7-1-3. პასუხი: უნდა ამოვიღოთ 10+10+12+14+14+15=75 ცალი ბურთულია.

7-1-4. ადვილია მართალია, რომ მერვეკლასელთა რიცხვი x-ით. მერვეკლასელები ერთმანეთში მოაგროვებდნენ (x+2)(x+1)/2 - 8 = x(x+1)/2 + 2x - 7 ქულას.


ვინაიდან თითოეულმა მერვეკლასელმა დააგროვა თანაბარი რაოდენობის ქულა, ამიტომ, ცხადია, x(x+1)/2 + 2x - 7 უნდა იყოფოდეს უნაშთოდ x-ზე, ანუ x(x+1)-14+2x უნდა იყოფოდეს უნაშთოდ x-ზე. ადვილი საჩვენებელია, x-მა შეიძლება მიიღოს მხოლოდ ერთ-ერთი შემდეგი მნიშვნელობებიდან: 7 ან 14 (შეადგინეთ ცხრილი!)

7-1-5. ამოცანების გარეგან დაგვიწყებინოთ A1 მოსწავლეს, რომელსაც აქვს ამოხსნილი ამოცანები: a1 და a2. მას გავარჩევინოთ a2 ამოცანა. ცხადია, მოიძებნება მხოლოდ ერთი მოსწავლე A2, რომელსაც A1-ის გარდა აქვს ამოხსნილი a2 ამოცანა. მან გააჩნია მის მიერ ამოხსნილი a3 ამოცანა. ამ პროცესის გაგრძელებით, ცხადია, მივაღწეოთ იმ მოსწავლემდე (ის იქნება ბოლო), რომელსაც ამოხსნილი აქვს a20 და a1 ამოცანა და ის გააჩნევს a1 ამოცანას.

8-1-1. ვთქვათ a1, a2, ..., an ∈ Z0 და a0 ∈ N მაშინ a0a1a2...an = a0·10^n + a1·10^{n-1} + a2·10^{n-2} + ... + an·10 + a0 ≥ a0·10^n > a0·9^n = a0·9·9·9...9 ≥ a0a1a2...an რ.დ.გ.

8-1-2. თუ 20 ყველაზე უფროსი მოსწავლეთა წლოვანების ჯამი ნაკლებია 280-ზე, მაშინ, ცხადია, ყველა (31) მოსწავლის წლოვანებათა ჯამი იქნება ნაკლები 280+280·11/20 = 484-ზე. ამიტომ, აქედან გამომდინარე, 20 ყველაზე უფროსი მოსწავლის წლოვანებათა ჯამი აუცილებლად იქნება არანაკლები 280-ზე. ე.ი. მოიძებნება.

8-1-3. განვიხილოთ სიბრტყეში ნებისმიერი ოთხი წერტილი და დაამტკიცეთ, რომ ისინი ქმნიან ან ამოხსნილ ოთხკუთხედს ან ერთი წერტილი მდებარეობს დანარჩენი სამი წერტილისაგან შედგენილი სამკუთხედის შიგნით. უკანასკნელ შემთხვევაში, მეხუთე წერტილი მოხვდება ნახატის 9 არიდან ერთ-ერთში.



შეამოწმეთ, რომ ნებისმიერ ვარიანტში შესაძლებელია ამოცანის პირობით მოთხოვნილი ოთხკუთხედის აგება.


8-1-4. თუ სამჯერ გამეორებული რიცხვი არის ნული, მაშინ წინ 9 ციფრიდან ერთს დამატებით მივიღებთ 9 რიცხვს. თუ რიცხვში მეორდება ციფრი a≠0, მაშინ რიცხვების რაოდენობა სხვადასხვაა.

b-თი (b≠a) იქნება 9·4·9=324. ე.ი. სულ ასეთი რიცხვების რაოდენობაა 324+9=333.

8-1-5. შემოვხაზოთ წრეწირი ცენტრით მოცემული კუთხის წვეროში. შემდეგ ფარგლით გადავლოთ წრეწირზე (მიმდევრობით) 19-ჯერ რკალი 19° (მოცემული რკალი) - მივიღებთ რკალს 19·19°=361°. ე.ი. 1°-ით მეტს სრულ კუთხეზე.

9-1-1. განვიხილოთ მოსწავლე A და მოსწავლეები B, C და D. ვთქვათ, B, C და D-ს შორის B და C-მ იცის ერთი და იგივე ენა. ვთქვათ A-ს შეუძლია ესაუბროს ამ სამეულის თითოეულ მოსწავლეს მათთვის გასაგებ ენაზე. მაშინ საძიებელი სამეული იქნება A, B და C. თუ A-ს შეუძლია ესაუბროს მათთვის გასაგებ ენაზე არაუმეტეს ორ მოსწავლეს, მაშინ მოიძებნება სამი მოსწავლე E, F და G, რომელთაგან A-ს არ შეუძლია საუბარი არც ერთ მათთვის გასაგებ ენაზე. მაშინ E, F, G შეადგენს საძიებელ სამეულს. (დაამტკიცეთ!)

9-1-2. (∠DAB და ∠ABE - მოსახდრევა) ⇒ ∠BAF=180°-∠DAB. (□ABCD და □ABEF ნახაზული ოთხკუთხედებია)



9-1-3. თუ ერთ-ერთი x, y, z-დან ტოლია 0-ის მაშინ განტოლებიდან x²+y²+z²=2xyz (1). დანარჩენებიც 0-ის ტოლია იქნება. ვთქვათ, x, y, z ≠ 0, მაშინ x=2^m·x1, y=2^n·y1, z=2^p·z1 სადაც x1, y1, z1 - კენტი რიცხვებია, m, n, p ∈ Z0. ვთქვათ m ≤ n ≤ p. მაშინ (1)-ის ორივე მხარის (2^m)²-ზე გაყოფით მივიღებთ x1²+2²(n-m)·y1²+2²(p-m)·z1²=2^{n+p+1-m}·x1·y1·z1 (2). ადვილი საჩვენებელია, რომ (2)-ის მარჯვენა მხარე იყოფა უნაშთოდ 4-ზე, ხოლო მარცხენა მხარე კი არა. ე.ი. (1)-ს მთელ რიცხვებში აქვს მხოლოდ ტრივიალური ამონახსნები x=y=z=0.


9-1-4. ვთქვათ, a1 < a2 < ... < an+1 - არის მოცემული რიცხვები. განვიხილოთ n სხვაობა: a2-a1, a3-a1, ..., an+1-a1; ეს სხვაობები დადებითია, წყვილ-წყვილად განსხვავებულია და ნაკლებია 2n-ზე. ამრიგად, ახლა ჩვენ გვაქვს 2n+1 ცალი ნატურალური რიცხვი (a1, a2, ..., an+1; a2-a1, a3-a1, ..., an+1-a1), რომელთაგან თითოეული ნაკლებია 2n-ზე. ამიტომ, მათ შორისაა ტოლებიც, ვინაიდან თავდაპირველად მოცემული რიცხვები წყვილ-წყვილად განსხვავებულია და ასევე განსხვავებულია მიღებული სხვაობებიც, ამიტომ, რომელიღაც ak ემთხვევა ერთ-ერთ სხვაობას. ე.ი. ak = am - a1. საიდანაც a1 + ak = am, რ.დ.გ.

9-1-5. მოცემული რიცხვებიდან დიდი რიცხვის გაყოფით (შემოკლებისათვის ეს რიცხვები ადვილია a და b-თი) პატარა რიცხვზე მიიღება განაყოფი q და ნაშთი 1111. ანუ გვაქვს ტოლობა a-bq=1111 აქედან ჩანს, რომ a და b რიცხვების ყოველი საერთო გამყოფი, ამავე დროს, წარმოადგენს 1111-ის გამყოფსაც. მაგრამ რიცხვი 1111 წარმოადგენს გამყოფს რიცხვებისა a-სიც და b-სიც, მასშტაბად, წარმოადგენს მათ უდიდეს საერთო გამყოფსაც.

კონკურსი

* * *

10-1-1. C წვეროდან AC -სთან 60° კუთხით გაავლოთ $[AB]$ -ს F წერტილში გადამკვეთი წრფე, რომელიც $[AD]$ -ს კვეთს O წერტილში (იხ. ნახ.1). ადვილი საჩვენებელია, რომ D წერტილიდან (როგორც წვეროდან) გავლებული $[FO]$ -ს მართობული სხივი $[AB]$ -ს გადაკვეთს E წერტილში, ამიტომ $[DK]$ წარმოადგენს ტოლგვერდა $\triangle FOD$ -ს სიმაღლეს, ე.ი. $\hat{ODK} = \frac{60^\circ}{2} = 30^\circ \Rightarrow \hat{ADE} = 30^\circ$.



ნახ. 1

* * *


10-1-2. პასუხი: უმცირესი რიცხვია - 11122113...199222...89991. უდიდესი რიცხვია - 999899779...911888...211119. მათი ჯამი ტოლია - 111...111...1110 (რიცხვები შედგება 1-იანისაგან და ერთი ნულისაგან).

10-1-3. ვინაიდან ერთი პარტიის დამთავრებისას ორივე მოჭადრაკის ქულათა ჯამი ტოლია 1-ის, ამიტომ ყველა მოჭადრაკის ქულათა ჯამი ნებისმიერ მომენტში ტოლია იმ მომენტისათვის ნათამაშები პარტიების რაოდენობისა. ამოცანის პირობით, თითოეულმა მოჭადრაკმა თავისი ქულების ნახევარი დააგროვა ბოლო სამ ადგილზე გასულ მოჭადრაკესთან. მაშასადამე, სხვებთანაც მოაგროვა ასევე ნახევარი. თუ ტურნირში მონაწილეობდა x მოთამაშე, მაშინ ყველამ ერთად სულ ითამაშა $\frac{x(x-1)}{2}$

პარტია და, აქედან გამომდინარე, მოაგროვეს ამდენი ქულა. ბოლო სამ ადგილზე გასულმა მოთამაშემ ერთმანეთში ითამაშეს 3 პარტია, რომლებშიც ერთად მოაგროვეს 3 ქულა - მთელი ქულების ნახევარი, რომლებიც მათ დააგროვეს მთელ ტურნირში. აქედან გამომდინარე, მათ ჯამში აქვთ 6 ქულა. საუკეთესო $(x-3)$ მოთამაშემ ერთმანეთში ითამაშა $\frac{(x-3)(x-4)}{2}$ პარტია და ამ თამაშებში ჯამში იყო მოგროვებული ამდენივე ქულა, მაგრამ ეს ამოცანის პირობით წარმოადგენს მათ მიერ დაგროვებული ქულების ნახევარს. აქედან გამომდინარე, მათ ერთად სულ დააგროვეს $(x-3)(x-4)$ ქულა. ამრიგად,

$$\begin{cases} (x-3)(x-4)+6 = \frac{x(x-1)}{2}; \\ x \in N; x-4 > 0. \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} x^2 - 13x + 36 = 0; \\ x \in N; x > 4. \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} x = 4; \\ x = 9; \\ x \in N; x > 4. \end{cases} \Leftrightarrow (x=9).$$

10-1-4. ადვილი საჩვენებელია, რომ



$$\begin{aligned} (\triangle OMA = \triangle BEO = \triangle ONC = \triangle DFO) &\Rightarrow \begin{cases} |AM| = |ED| = |CN| = |OF|; \\ |OM| = |BE| = |ON| = |DF|. \end{cases} \Rightarrow \\ \Rightarrow |AM|^2 + |BE|^2 + |CN|^2 + |DF|^2 &= 2(|BE|^2 + |OE|^2) = \\ \Rightarrow 2|BO|^2 = 2\left(\frac{|BD|}{2}\right)^2 = \frac{|BD|^2}{2} &= \frac{2|AB|^2}{2} = |AB|^2 = 1^2 = 1 \end{aligned}$$

10-1-5. ვთქვათ, m_1 და m_2 ($m_1 > m_2$) მოცემულ ციფრებისაგან შედგენილი რიცხვებია, რომელთაგან m_1 უნაშთოდ იყოფა m_2 -ზე. მაშინ $(m_1 - m_2)$ ასევე უნაშთოდ უნდა გაიყოს m_2 -ზე, მაგრამ $(m_1 - m_2)$ იყოფა უნაშთოდ 9-ზე. ვინაიდან რიცხვი და ამ რიცხვის ციფრთა ჯამი 9-ზე გაყოფისას იძლევიან ერთი და იგივე ნაშთებს (დაამტკიცეთ!), ამ დროს m_2 არ იყოფა 3-ზეც კი. ამიტომ, $(m_1 - m_2)$ იყოფა უნაშთოდ $9m_2$ -ზე, მაგრამ $9m_2$ რვანიშნა რიცხვია. მივიღეთ წინააღმდეგობა. ე.ი. ასეთი რიცხვები არ არსებობს.

* * *

11-1-1.


$$\begin{aligned} \frac{1}{101} + \frac{1}{102} + \dots + \frac{1}{200} &= 1 + \frac{1}{2} + \frac{1}{3} + \dots + \frac{1}{199} + \frac{1}{200} - 1 - \frac{1}{2} - \dots - \frac{1}{100} = \\ &= 1 + \frac{1}{3} + \frac{1}{5} + \dots + \frac{1}{199} + \frac{1}{2} + \frac{1}{4} + \dots + \frac{1}{200} - 2\left(\frac{1}{2} + \frac{1}{4} + \dots + \frac{1}{200}\right) = \\ &= 1 + \frac{1}{3} + \frac{1}{5} + \dots + \frac{1}{199} - \frac{1}{2} - \frac{1}{4} - \dots - \frac{1}{200} = 1 - \frac{1}{2} + \frac{1}{3} - \frac{1}{4} + \dots + \frac{1}{199} - \frac{1}{201}. \end{aligned}$$

11-1-2. განვიხილოთ ნებისმიერი განივი ან გრძივი დახატული ხაზი. ის დაფასდეს ორ არედ, რომელთაგან თითოეული მათგანი შედგება ლუწი რაოდენობის უჯრებისაგან. მათგან ლუწი რაოდენობა (შესაძლებელია ნულიც) დაფარულია ქვებით, რომლებიც არ გადაკვეთს არეების საზღვარს (ხაზს). აქედან გამომდინარე, საზღვარს (ხაზს) გადაკვეთს მხოლოდ ქვების ლუწი რაოდენობა: 0, 2, 4 ან უფრო მეტი ლუწი რაოდენობა. სულ ასეთი საზღვრის ხაზები არის $102 \cdot (3+99)$. იმისათვის, რომ თითოეული მათგანი გადაკვეთილი იყოს ქვით, საჭიროა არანაკლებ $102 \cdot 2 = 204$ ქვა. მაგრამ დაფაზე მდებარეობს სულ $\frac{4 \cdot 100}{2} = 200$ ქვა. ე.ი. შესაძლებელია დაფა

გავხერხოთ, მასზე დახატული რომელიმე განივი ან გრძივი ხაზის გასწვრივ ისე, რომ არ გადავაადგილოთ და არ გავხერხოთ მასზე დაწყობილი თითოეული ქვა.

11-1-3. გაავლოთ $[BD] \perp [AC]$ (იხ. ნახ.1) $\triangle CBD \sim \triangle CHE \sim \triangle HAE$.

E და O წერტილები - შუა წერტილებია შესაბამისად $[CD]$ და $[HE]$ -სი. ამიტომ $\triangle BEC \sim \triangle AOH$. მაგრამ ვინაიდან $[AH] \perp [BC]$, ამიტომ $[AO] \perp [BE]$.



ნახ. 1

11-1-4. ვთქვათ, $10a+b$ არის საძიებელი რიცხვი ($a, b \in N; a, b \leq 9$) საჭიროა, ამოვხსნათ ნატურალურ რიცხვებში $(10a+b)^2 = (a+b)^3$ განტოლება. ორივე მხარე განტოლებისა განსაზღვრავს რომელიმე N რიცხვს, რომელიც ერთდროულად წარმოადგენს როგორც სრულ კვადრატს, ასევე სრულ კუბს. რომელიმე P მარტივი რიცხვი, ვთქვათ, N -ის კანონიკურ დაშლაში, ვთქვათ, შედის K ხარისხად. მაშინ, ცხადია, K უნდა გაიყოს უნაშთოდ, როგორც 2-ზე, ასევე 3-ზე. აქედან გამომდინარე, იყოფა უნაშთოდ 6-ზე. ამიტომ, $N = n^2$, სადაც n - მთელი რიცხვია. აქედან გამომდინარე, რიცხვი $(a+b)$ წარმოადგენს სრულ კვადრატს, მაგრამ $a+b \leq 18$. ამიტომ, მისთვის შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი მნიშვნელობები: 1; 4; 9; 16, ანალოგიურად მივიღებთ, რომ $(10a+b)$ უნდა იყოს ნატურალური რიცხვის კუბი, ამიტომ შეუძლია მიიღოს მხოლოდ შემდეგი მნიშვნელობები: 1; 8; 27; 64. უშუალო ჩასმით ვრწმუნდებით, მოცემულ ამოცანას აქვს ერთადერთი ამონახსნი $10a+b=27$.

შესაძლებელია ამ ამოცანის ამოხსნა სხვა გზითაც

$$\begin{aligned} \begin{cases} a, b \in N; a, b \leq 9; \\ (10a+b)^2 = (a+b)^3. \end{cases} &\Leftrightarrow \begin{cases} a, b \in N; a, b \leq 9; \\ (9a+(a+b))^2 = (a+b)^3. \end{cases} \Leftrightarrow \\ &\Leftrightarrow \begin{cases} a, b \in N; a, b \leq 9; \\ 81a^2 = (a+b)((a+b)(a+b-1) - 18a). \end{cases} \Leftrightarrow \\ &\Rightarrow \begin{cases} a, b \in N; a+b \leq 18; \\ \frac{a+b}{9} \in N. \end{cases} \Rightarrow \begin{cases} a+b=9; \\ a+b=18. \end{cases} \end{aligned}$$

შემოწმებით ვრწმუნდებით, რომ 27 არის ერთადერთი ამონახსნი.

11-1-5. ავიღოთ ის სტრიქონი, რომელშიც რიცხვების ჯამი უმცირესია და განვიხილოთ რიცხვთა ჯამები ყველა „უჯრებისა“ ამ სტრიქონის შესაბამისი უჯრების. ამ რიცხვთა ჯამი არანაკლებია na -სი. მეორე მხრივ, თუ აღვნიშნავთ მთელი ცხრილის უჯრებში ჩაწერილი რიცხვების ჯამს N -ით, ხოლო ამ სტრიქონის უჯრებში ჩაწერილი რიცხვების ჯამს m -ით, მივიღებთ $N+(n-1)m \geq na$ მაგრამ $m \leq \frac{N}{n}$,

ამიტომ $N\left(1 + \frac{n-1}{n}\right) \geq na \Rightarrow N \geq a \frac{n^2}{2n-1}$. მაშასადამე, ცხრილის უჯრებში ჩაწერილი

რიცხვების ჯამი არის არანაკლები $a \frac{n^2}{2n-1}$ -ზე. დაგვრჩა შევამოწმოთ, შესაძლებელია

თუ არა ცხრილის უჯრებში რიცხვების ისე განთავსება, რომ ჯამი ტოლი იყოს $a \frac{n^2}{2n-1}$ -ის. ეს თქვენთვის მოგვიწოდია.

ისტორია

შესავალი

აბიტიურიენტებმა ყურადღებით უნდა წაიკითხონ თითოეული ტესტური დავალების აღწერილობა, მაქსიმალური სიზუსტით დაიცვან დავალებების სწორად შესრულების ტექნიკური და შინაარსობრივი მოთხოვნები.

ვიმედოვნებთ, ეს კრებული დაგეხმარებათ საფუძვლიანად მოემზადოთ 2013 წლის მისაღები გამოცდებისათვის.

საგამოცდო ტესტში არ განმეორდება ამ კრებულში მოცემული არც ერთი დავალება.

გისურვებთ წარმატებას!

ტესტურ დავალებათა აღწერილობა


დავლების I ტიპი

არჩევითობლიანი კითხვა

დავლების აღწერა: დავალებაში დასმულია კითხვა, რომელსაც ოთხი სავარაუდო პასუხი ახლავს. მათგან მხოლოდ ერთი სწორი. პასუხების ფურცელში უნდა გადახაზოთ არჩეული პასუხის შესაბამისი უჯრა. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს ფაქტობრივი მასალის, ცნებებისა და ტერმინების ცოდნას; მოვლენათა დამახასიათებელი ნიშნებისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენის უნარს.

თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

ნიმუში:



ვისი ლაშქრობებია ასახული რუკაზე?

- ა. აქემენიდი შახების
ბ. ალექსანდრე მაკედონელის
გ. თემურ-ლენგის
დ. საილხანოს ყაენების
სწორი პასუხია: ბ.

დავლების II ტიპი

ქრონოლოგიის განსაზღვრა

დავლების აღწერა: დავალებაში მოცემული ჩამონათვალი (ისტორიული პიროვნებების ან მოვლენების, ფაქტების) უნდა დალაგდეს ქრონოლოგიური პრინციპით, უძველესიდან უახლესისაკენ. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს ფაქტობრივ, კერძოდ, ქრონოლოგიის, ისტორიული პერიოდების ცოდნასა და მისი გამოყენების უნარს.

თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება

დავლების III ტიპი

შეცდომის პოვნა და შესწორება

დავლების აღწერა: დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც ფაქტობრივი შეცდომები დაშვებულია. ავლიკანტმა უნდა აღმოაჩინოს და შეასწოროს ეს შეცდომები. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს ფაქტობრივი მასალის ცოდნისა და მისი გამოყენების უნარს; ფასდება როგორც ნაპოვნი შეცდომა (1 ქულით), ასევე მისი შესწორებული ვარიანტი (1 ქულით). ქულათა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

დავლების IV ტიპი

ისტორიული წყაროს ანალიზი

დავლების აღწერა: დავალებაში მოცემულია აბიტიურიენტისთვის უცნობი ისტორიული წყარო (ნერილობითი, ვიზუალური: ფოტო, ილუსტრაცია, კარიკატურა, რუკა, ნუმიზმატიკური მასალა და სხვ.), რომელსაც თან რამდენიმე შეკითხვა ახლავს. ეს კითხვები შეეხება: ისტორიული წყაროს გაგებას და მისგან საჭირო ინფორმაციის გამოყოფას, ისტორიულ წყაროში წარმოდგენილი კონკრეტული ამბის ზოგად ისტორიულ კონტექსტში ჩასმას, მის გააზრებას, ასევე საკუთარი აზრის/შეფასების არგუმენტირებულად დასაბუთებას ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის მიმართ. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს ისტორიული წყაროს გაგებისა და მისგან საჭირო ინფორმაციის გამოყოფის, ისტორიულ წყაროში მოთხრობილი ამბის ისტორიულ კონტექსტში ჩასმის, საკუთარი მოსაზრების/შეფასების არგუმენტირებულად დასაბუთების უნარს. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

დავლების V ტიპი

პრობლემის ანალიზი

დავლების აღწერა: დავალებაში მოცემულია მოკლე ტექსტი, რომელშიც საუბარია ორ ურთიერთსაპირისპირო თვალსაზრისზე კონკრეტულ ისტორიულ ფაქტთან/მოვლენასთან დაკავშირებით. ტექსტს თან ახლავს კითხვები. აბიტიურიენტმა საკუთარი მკაფიო არგუმენტირებული უნდა წარმოადგინოს ორი განსხვავებული/ურთიერთსაპირისპირო თვალსაზრისის შეფასებისას, გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება/აზრი დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს მოვლენებისა და პროცესების დამახასიათებელი, არსებითი ნიშნების, მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენის, მოვლენათა და პროცესთა შედარების უნარს; ასევე საკუთარ აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების, ლოგიკური, კრიტიკული აზროვნების, პროცესებისა და მოვლენების შეფასების უნარს. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

შენიშვნა:

2013 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ისტორიაში ტესტი 80-ქულიანი იქნება და 2 საათი და 30 წუთი დაეთმობა. ტესტურ დავალებათა რაოდენობა თითოეული დავალების ტიპში შესაძლოა შეიცვალოს.

ტესტი ისტორიაში

I - არჩევითობლიანი კითხვა

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთი სწორი. პასუხების ფურცელში უნდა გადახაზოთ არჩეული პასუხის შესაბამისი უჯრა. თქვენს მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არცერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება; თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. ვინ დაყო სპარსეთის სამეფო სატრაპიებად?

- ა. კიროსმა
ბ. დარიოსმა
გ. ქსერქსემ
დ. კამბიზმა

2. რა მომომქმედა მირიან მეფის ერისთავმა, როდესაც მთიელებმა ქრისტიანობის მიღებაზე უარი თქვეს?

- ა. ჩამოსახლა ისინი ბარში
ბ. სიკვდილით დასაჯა მძევლები
გ. დაატყვევა მათი ხევისბერები
დ. დალენა მათი კერპები

3. რომელ საუკუნეში ებრძოდნენ ერთმანეთს ბიზანტია და ირანი ეგრისის ტერიტორიაზე?

- ა. IV
ბ. V
გ. VI
დ. VII

4. ვინ იყო ბულა თურქის მიერ სიკვდილით დასჯილი საჰაკი?

- ა. ქართლის ერისმთავარი
ბ. კახეთის ქორეპისკოპოსი
გ. ქართლის პიტიახში
დ. თბილისის ამირა

5. ვის ჩაუფარდა ტყვედ მანასკერტის ბრძოლაში ბიზანტიის იმპერატორი?

- ა. არაბებს
ბ. ოსმალებს
გ. სელჩუკებს
დ. მონღოლებს

6. რა უწოდეს მონღოლებმა დავით რუსუდანის ძეს?

- ა. ულუ
ბ. ემირი
გ. ნოინი
დ. ნარინი

7. რომელ საუკუნეში გამოვიდა ინგლისის ეკლესია რომის პაპის დაქვემდებარებიდან?

- ა. XIV
ბ. XV
გ. XVI
დ. XVII

8. რომელი სახელმწიფოს ძლიერების მწვერვალს წარმოადგენდა სულეიმან I ბრწყინვალის მმართველობის ხანა?

- ა. სელჩუკიანთა სასულთნოს
ბ. ირანის
გ. ეგვიპტის სასულთნოს
დ. ოსმალეთის

9. რომელ სახელმწიფოს განაგებდა მეფე ჯეიმს I?

- ა. ინგლისს
ბ. გერმანიას
გ. ესპანეთს
დ. საფრანგეთს

10. ვინ იყო ერაზმუს როტერდამელი?

- ა. ნიდერლანდელი ჰუმანიისტი
ბ. ბელგიელი ფერმწერი
გ. იტალიელი მისიონერი
დ. ფრანგი მოქანდაკე

11. რა ეწოდება XIX საუკუნის 50-იან წლებში მიმდინარე რუსეთ-თურქეთის ომს?

- ა. ბოსფორის ომი
ბ. ყირიმის ომი
გ. ბალკანეთის ომი
დ. ქერჩის ომი

12. რომელი მეფისნაცვლის მოღვაწეობის დროს გაიხსნა თბილისში საჯარო ბიბლიოთეკა?

- ა. ბარონ როზენის
ბ. ალექსანდრე ბარიატინსკის
გ. დონდუკოვ-კორსაკოვის
დ. მიხეილ ვორონცოვის

13. რომელი სახელმწიფოს ტახტის მემკვიდრე იყო ერცჰერცოგი ფრანც ფერდინანდი?

- ა. იტალიის
ბ. დიდი ბრიტანეთის
გ. ავსტრია-უნგრეთის
დ. გერმანიის

14. რომელი დამოუკიდებელი სახელმწიფოები წარმოიქმნა ევროპაში I მსოფლიო ომის შემდეგ?

- ა. შვედეთი, დანია, ბულგარეთი
- ბ. ნიდერლანდები, ბელგია, პორტუგალია
- გ. პოლონეთი, ფინეთი, ავსტრია
- დ. ნორვეგია, რუმინეთი, ალბანეთი

15. რა საკითხი განიხილებოდა 1918 წელს ბათუმში მიმდინარე საზავო კონფერენციაზე?

- ა. რუსეთის დროებით მთავრობასთან გასაფორმებელი ხელშეკრულება
- ბ. ამიერკავკასიაში ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა
- გ. ფრონტის ხაზიდან რუსეთის საჯარისო შენაერთების გამოყვანა
- დ. თურქეთის მიერ წამოყენებული ტერიტორიული პრეტენზიები

16. რამ განაპირობა „ნებ“-ის შემოღება საბჭოთა კავშირში?

- ა. საგადასახადო სისტემის რეფორმის აუცილებლობამ
- ბ. ეკონომიკურმა მიღწევებმა კოლექტივიზაციის შემდეგ
- გ. სამოქალაქო ომის შემდეგ არსებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა
- დ. ინდუსტრიალიზაციის აუცილებლობამ

17. რომელმა პოლიტიკურმა ლიდერმა გამოიყენა პირველად ტერმინი „ფაშიზმი“?

- ა. ჩერჩილმა
- ბ. მუსოლინიმ
- გ. ჰიტლერმა
- დ. ფრანკომ

18. რას წარმოადგენდა „გეტო“?

- ა. ბანაკს სამხედრო ტყვეთათვის
- ბ. ემიგრანტთა დროებით საცხოვრებელს
- გ. დასახლებას ებრაელთა იზოლაციისათვის
- დ. საგანგებო რეზერვაციის ლტოლვილთათვის

19. საფრანგეთის რომელ პროვინციაში გადასხეს მოკავშირეებმა დესანტი 1944 წელს?

- ა. ლოტარინგიაში
- ბ. აკვიტანიაში
- გ. ბრეტანიში
- დ. ნორმანდიაში

20. რა ტიპის ომის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი „ბლიცკრიგი“?

- ა. ტოტალური
- ბ. თავდაცვითი
- გ. პარტიზანული
- დ. ელვისებური

21. ჩამოთვლილთაგან რომელი იყო ყველაზე ბოლო მოვლენა II მსოფლიო ომში?

- ა. ქალაქ ბერლინის აღება
- ბ. მოკავშირეთა მიერ მეორე ფრონტის გახსნა
- გ. იაპონიის ქალაქების ატომური დაბომბვა
- დ. თეირანის კონფერენცია

22. ვინ იყო ინდოეთის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი?

- ა. ბენაზირ ბჰუტო
- ბ. ინდირა განდი
- გ. ბაბრაქ ქარმალი
- დ. მაჰათმა განდი

23. რა ეწოდება სახელმწიფოს მიერ დადგენილი ქვეყნის სავალდებულო წესების ერთობლიობას, რომელთა შესრულებასაც სახელმწიფო სხვადასხვა იძულებითი საშუალებებით უზრუნველყოფს?

- ა. პოლიტიკა
- ბ. მორალი
- გ. ნორმა
- დ. სამართალი

24. რომელია მართებული სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ ქვემოთ მოყვანილი მსჯელობებიდან?

I. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ნიშნავს საკუთარი აზრისა და შეხედულების გამოთქმის უფლებას; II. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს ინფორმაციის მიღებისა და ხელმისაწვდომობის უფლებასაც.

- ა. მხოლოდ I
- ბ. მხოლოდ II
- გ. ორივე
- დ. არცერთი

II – ქრონოლოგიის განსაზღვრა

ინსტრუქცია

ქრონოლოგიურად (უძველესიდან უახლესისაკენ) დალაგეთ ისტორიული პიროვნებები და მოვლენები. პასუხები ჩანერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში ინერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში ინერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენა აღნიშნულია და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაინერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

25. დალაგეთ თანმიმდევრობით ისტორიული პიროვნებები მათი მოღვაწეობის დროის მიხედვით:

- 1. იმპერატორი ადრიანე
- 2. იმპერატორი იუსტინიანე
- 3. გნეუს პომპეუსი

26. დალაგეთ თანმიმდევრობით არაბი სარდლები საქართველოში მათი შემოჭრის დროის მიხედვით:

- 1. მურვან ყრუ
- 2. ბულა თურქი
- 3. ჰაბიბ იბნ მასლამა

27. დალაგეთ თანმიმდევრობით XIX საუკუნის II ნახევარში საქართველოში მომხდარი მოვლენები:

- 1. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება

- 2. ბატონყმობის გაუქმება
- 3. თბილისის სათავადაზნაურო ბანკის დაარსება

28. დალაგეთ თანმიმდევრობით II მსოფლიო ომის შემდეგ მომხდარი მოვლენები:

- 1. „მარშალის გეგმის“ შემუშავება
- 2. „ვარშავის პაქტის“ ხელმოწერა
- 3. „ნატოს“ შექმნა

29. დალაგეთ თანმიმდევრობით XX საუკუნის II ნახევარში მომხდარი მოვლენები:

- 1. ეუთოს ჩამოყალიბება
- 2. საბჭოთა კავშირის დაშლა
- 3. ბერლინის კედლის დანგრევა

III – შეცდომის პოვნა და შესწორება

ინსტრუქცია

ყურადღებით წაკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტები. იპოვეთ მათში დაშვებული შეცდომები. პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში გადაიტანეთ ნაპოვნი ფაქტობრივი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი. გაითვალისწინეთ, რომ შეფასდება როგორც თქვენს მიერ ნაპოვნი შეცდომა (1 ქულა), ისე მისი შესწორებული ვარიანტი (1 ქულა). ასევე გაითვალისწინეთ, რომ პასუხების ფურცელში მოცემული ცხრილის შესაბამის ადგილას უნდა ჩაინეროს მხოლოდ ერთი სიტყვა, თარიღი, სახელი და ა.შ. და არავითარ შემთხვევაში, მთელი წინადადება ან თუნდაც რამდენიმე სიტყვა.

(10) 30. საქართველო XI საუკუნის II ნახევარში

1071 წელს ოსმალებთან განცდილი მარცხის შემდეგ ბიზანტიის იმპერიამ ბრძოლა ფაქტობრივად შეწყვიტა. სომხური სამეფო-სამთავროები უკვე განადგურებული იყო. მოკავშირეების გარეშე დარჩენილმა საქართველომ სათანადო წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია მრისხანე დამპყრობლებს. 1078 წელს საქართველოში „დიდი თურქობა“ დაიწყო. ამ დროს სახელმწიფოს მეფე ბაგრატ II განაგებდა. სამეფო კარმა შექმნილი უმძიმესი მდგომარეობიდან სხვა გამოსავალი ვერ მოძებნა და მეფე 1083 წელს დამპყრობთა მბრძანებელ მალე-შაჰს ისპაჰანში ეახლა. მან თავი დამარცხებულად ცნო და ხარკი იკისრა. ხალიფამ საქართველოს მეფეს კახეთ-ჰერეთის სამეფო გადასცა და დამხმარე ჯარიც გამოატანა მისი მეფის, აღსართანის დასამარცხებლად. თუმცა აღსართანი თავადაც ისპაჰანში გამოცხადდა, მაზღენოზა მიიღო და ამ გზით სამეფო შეინარჩუნა.

(14) 31. საფრანგეთის რევოლუცია

საფრანგეთის რევოლუციის დროს ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა ურთიერთობა გაართულა ევროპის სხვა მონარქიულ სახელმწიფოებთან და 1792 წელს საფრანგეთი პრუსიისა და ესპანეთის წინააღმდეგ ომში ჩაება.

1792 წელს ლუი XVII დააპატიმრეს და საფრანგეთში მონარქია დაემხო. იმავე წელს არჩეულ იქნა კონვენტი, რომელშიც ძირითად პოლიტიკურ ძალას ერთმანეთის ოპონენტები, ჟირონდისტები და პურიტანები შეადგენდნენ, თუმცა დეპუტატთა უმრავლესობას პოლიტიკურად მერყევთა ჯგუფი ე.წ. „ფსკერი“ წარმოადგენდა. თავდაპირველად ძალაუფლებას ჟირონდისტები ფლობდნენ, მაგრამ 1793 წელს ისინი დაამხეს და ხელისუფლებაში მათი ოპონენტები მოვიდნენ. ამ უკანასკნელთა მმართველობა დიდხანს არ გაგრძელდებოდა. 1794 წლის 27 ივლისს ანუ ახალი რევოლუციური კალენდრით 9 პრერიალს მათი ძალაუფლება დაემხო. კონვენტმა აღმასრულებელი ხელისუფლება ხუთი კაცისაგან შემდგარ კოლეგიას გადასცა. მისმა საშინაო და საგარეო პოლიტიკამ საფრანგეთი უმძიმეს კრიზისში ჩააგდო და ქვეყანა 1797 წლის 18 ბრიუმერის გადატრიალებამდე მიიყვანა, რომლის შედეგადაც ძალაუფლება სამ კონსულს გადაეცა.

IV- პრობლემის ანალიზი

ინსტრუქცია

ყურადღებით წაკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტები და შეასრულეთ დავალება. პასუხები ჩანერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. არ დაწეროთ პირობაში მოთხოვნილ რაოდენობაზე მეტი არგუმენტი. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული აზრის მატარებელი. თითოეული არგუმენტი 1 ქულით ფასდება.

(2) 32. 1832 წლის შეტემალების მონაწილეებს განსხვავებული აზრი ჰქონდათ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქართული სახელმწიფოს მოწყობის შესახებ. ნაწილი რესპუბლიკის გამოცხადების მომხრე იყო. სხვანი კი მონარქიის აღდგენას უჭერდნენ მხარს.

დავალება:

- (1) 32.1. მოიყვანეთ ერთი კონკრეტული (პოლიტიკური, ეკონომიკური ან კულტურული) არგუმენტი, რომლითაც რესპუბლიკის გამოცხადების მომხრე იმ დროს თავის პოზიციას დაიცავდა.
- (1) 32.2. მოიყვანეთ ერთი კონკრეტული (პოლიტიკური, ეკონომიკური ან კულტურული) არგუმენტი, რომლითაც მონარქიის აღდგენის მომხრე იმ დროს თავის პოზიციას დაიცავდა.

(2) 33. I მსოფლიო ომის დროს ევროპაში მყოფ ქართველ მოღვაწეთა აზრი ორად გაიყო. ერთნი საჭიროდ მიიჩნევდნენ ბრძოლას გერმანიის მხარეს, მეორენი კი - რუსეთის მხარეს.

დავალება:

- (1) 33.1. მოიყვანეთ ერთი კონკრეტული (პოლიტიკური, ეკონომიკური ან კულტურული) არგუმენტი, რომლითაც გერმანიის მხარეს ბრძოლის მომხრე იმ დროს თავის პოზიციას დაიცავდა.
- (1) 33.2. მოიყვანეთ ერთი კონკრეტული (პოლიტიკური, ეკონომიკური ან კულტურული) არგუმენტი, რომლითაც რუსეთის მხარეს ბრძოლის მომხრე იმ დროს თავის პოზიციას დაიცავდა.


V - ისტორიული რუკა

ინსტრუქცია

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. რუკაზე არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, უპასუხეთ დავალებაში დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩანერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას.

კითხვები:

- (2) 34.1. რომელი საუკუნეების ვითარებაა ასახული რუკაზე?
- (1) 34.2. რუკის მიხედვით, რომელ ადმინისტრაციულ ერთეულებად იყოფოდა რომის იმპერია?
- (1) 34.3. რუკის მიხედვით, რომელი ქართული სამეფო ესაზღვრებოდა რომის იმპერიას?
- (1) 34.4. რუკის მიხედვით, რომელ სახელმწიფოს ებრძოდა რომი ევროპაში?
- (2) 34.5. რუკის მიხედვით, სადაური წარმოშობისა და რომელი კონკრეტული ტომის წინააღმდეგ ილაშქრა რომის იმპერიამ?
- (1) 34.6. რუკის მიხედვით, რომელ სახელმწიფოს ებრძოდა რომი აზიაში?



VI - ისტორიული წყაროს ანალიზი

ინსტრუქცია
ყურადღებით წაკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას.

(15) 35. ნაწყვეტი გენერალ ერმოლოვის მოგონებებიდან

გენერალ-ლეიტენანტ ველიამინოვისაგან მივიღე ცნობები იმერეთში მომხდარ არეულობათა შესახებ. მისი მიზეზი კი შემდეგი იყო: საქართველოს ეგზარქოსმა, თეოფილაქტემ, რომელიც საქართველოსა და იმერეთში სასულიერო ცხოვრების წარმმართველად იყო გამოგზავნილი, ცვლილებების გატარება დაიწყო. ეკლესიების დიდი ნაწილი დაიკეტა და მღვდელმსახურები უმუშევრად დარჩნენ.

საქართველოში ამ ცვლილებებს ცუდი შედეგები არ მოჰყოლია, რადგან ეგზარქოსმა ადგილობრივ ხელისუფლებას სთხოვა დახმარება. იმერეთში კი სამღვდელმთავრებისა და თავად-აზნაურობის ნაწილმა მოსახლეობას არასწორი ინფორმაცია მიანოდა გასატარებელი ცვლილებების შესახებ. ზოგან უბრალო ხალხმა არა თუ არ შეუშვა ეგზარქოსის მიერ გაგზავნილი პირები საეკლესიო ქონების აღსაწერად, არამედ დაემუქრა კიდევ. მე ვაფრთხილებდი თეოფილაქტეს, რომ არ შეიძლება ცვლილებების ერთნაირად განხორციელება საქართველოსა და იმერეთში. ამ უკანასკნელს ცოტა ხნის წინ დამოუკიდებელი მმართველობა ჰქონდა და ახლანდელი მმართველობა სიტუაციას ვერ კიდევ ბოლომდე ვერ აკონტროლებდა.

იმერეთის ჯარების უფროსი შევიდა გურიისა, სადაც ცალკეულ ადგილებში აჯანყებულები იყვნენ შეკრებილი. გაცემული მცდარი ბრძანებებისა და საკუთარი სიმხდალის გამო, პირველივე მცირე შეტაკების შემდეგ მან უკან დაიხია. ამან აჯანყებულები აღაფრთოვანა და არეულობა იმერეთშიც დაიწყო.

თავად-აზნაურობის დიდი ნაწილი ამ ამბების მონაწილე იყო, ხოლო მეთაური, ვინმე თავადი აბაშიძე, რომელმაც თავისი ბანდა ახალციხის საფაშოდან მოსული რამდენიმე ასეული მეომრით გააძლიერა. მას დედამისიც, სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელი, ეხმარებოდა. ყველა უკმაყოფილო გაერთიანდა. ყველგან შეიქმნა შეიარაღებული ბანდები. საქართველოსთან კავშირი შეწყდა. საერთო მოძრაობას, მანამდე მშვიდად მყოფი სამეგრელოც აყვა. მთავარმა, გენერალ-მაიორმა დადიანმა ერთგულება შეინარჩუნა. ბოროტმოქმედებს თავისი ბანდით მისი ძმა მიემხრო.

ადამიანებს, რომლებმაც ჩვენი ერთგულება შეინარჩუნეს, აჯანყებულები ოჯახების ამონყვეტითა და სახლ-კარის ჩამორთმევით ემუქრებოდნენ.

იმერეთში მალევე აღდგა ნესრიგი. აჯანყების მონაწილეთა დიდი ნაწილი დავაპატიმრეთ. ნაწილი გადავასახლეთ. მათი მამულები ხაზინას გადაეცა.

კითხვები:

- (1) 35.1. რომელი საუკუნის რომელი ნახევრის ამბებია აღწერილი დოკუმენტში?
- (1) 35.2. ჩვენი ქვეყნის რომელ ნაწილს გულისხმობს გენერალი ერმოლოვი „საქართველოს“ ქვეშ?
- (1) 35.3. ტექსტის მიხედვით, ამომწურავად უპასუხეთ, რაში გამოიხატა ეგზარქოსის მიერ გატარებული ცვლილებები?

- (1) 35.4. ტექსტის მიხედვით, რა ევალბოდით იმერეთში ეგზარქოსის მიერ გაგზავნილ პირებს?
- (1) 35.5. ტექსტის მიხედვით, რატომ თვლიდა ერმოლოვი, რომ ცვლილებების ერთნაირად განხორციელება შეუძლებელი იყო „საქართველოსა და იმერეთში“?
- (3) 35.6. ტექსტიდან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის რომელ კუთხეებში მიმდინარეობდა საპროტესტო მოძრაობა და აჯანყება?
- (3) 35.7. ტექსტში არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, რომელი ფენების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ საპროტესტო მოძრაობასა და აჯანყებაში?
- (1) 35.8. რომელი სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა ტექსტში მოხსენიებული ახალციხის საფაშო იმ დროს?
- (1) 35.9. ტექსტიდან გამომდინარე, ამომწურავად უპასუხეთ, როგორ დასაჯა რუსეთის ხელისუფლებამ აჯანყების მონაწილეები?
- (1) 35.10. რომელ პოლიტიკურ მოვლენას მოჰყვა შედეგად იმერეთში საეკლესიო რეფორმის დაწყება?
- (1) 35.11. თქვენი აზრით, რატომ დამარცხდნენ აჯანყებულები?

დავლების №	სწორი პასუხები	მაქსიმალური ქულა
1	ბ	1
2	დ	1
3	ბ	1
4	დ	1
5	ბ	1
6	დ	1
7	ბ	1
8	დ	1
9	ა	1
10	ა	1
11	ბ	1
12	დ	1
13	ბ	1
14	ბ	1
15	დ	1
16	ბ	1
17	ბ	1
18	ბ	1
19	დ	1
20	დ	1
21	ბ	1
22	დ	1
23	დ	1
24	ბ	1

- 25.3.12 - 1 ქულა
- 27.2.31 - 1 ქულა
- 28.1.32 - 1 ქულა
- 29.1.32 - 1 ქულა

30. შეცდომის პოვნა და შესწორება (აღმოჩენილი შეცდომა - 1 ქულა, მისი გასწორებული ვარიანტი - 1 ქულა), სულ 10 ქულა

№	არის	უნდა იყოს	მაქსიმალური ქულა
30.1	ოსმალეთთან	სელჩუკებთან	2
30.2	1078	1080	2
30.3	ბაგრატ II	გიორგი II	2
30.4	ხალიფამ	სულთანმა	2
30.5	მაზდეანობა	ისლამი	2

31. შეცდომის პოვნა და შესწორება (აღმოჩენილი შეცდომა - 1 ქულა, მისი გასწორებული ვარიანტი - 1 ქულა), სულ 14 ქულა

№	არის	უნდა იყოს	მაქსიმალური ქულა
31.1	ესპანეთის	ავსტრიის	2
31.2	ლუი XVII	ლუი XVI	2
31.3	პურტიანები	იაკობინელები	2
31.4	ფსკერი	ჭაობი	2
31.5	9 პრერიალს	9 თერმოდორს	2
31.6	კოლეგია	დირექტორია	2
31.7	1797	1799	2

32. სულ 2 ქულა

32.1. ნებისმიერი კონკრეტული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული და დასრულებული აზრის მატარებელი არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, 1 ქულით ფასდება

32.2. ნებისმიერი კონკრეტული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული და დასრულებული აზრის მატარებელი არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, 1 ქულით ფასდება

33. სულ 2 ქულა

33.1. ნებისმიერი კონკრეტული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული და დასრულებული აზრის მატარებელი არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, 1 ქულით ფასდება

33.2. ნებისმიერი კონკრეტული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული და დასრულებული აზრის მატარებელი არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას, 1 ქულით ფასდება

34. ისტორიული რუკა - სულ 8 ქულა

- 34.1. I-II სს - 2 ქულა
- 34.2. პროვინციებად - 1 ქულა
- 34.3. ქართლის/იბერიის - 1 ქულა
- 34.4. დაკია - 1 ქულა
- 34.5. გერმანული (1 ქულა), ხერუსკები (1 ქულა) - 2 ქულა
- 34.6. პართიას - 1 ქულა

35. ისტორიული წყაროს ანალიზი - სულ 15 ქულა

- 35.1. XIX საუკუნის I ნახევრის - 1 ქულა
- 35.2. აღმოსავლეთ საქართველოს // ქართლ-კახეთს - 1 ქულა
- 35.3. ეკლესიების დიდი ნაწილი დაიკეტა, მღვდელმსახურები უმუშევრები დარჩნენ - 1 ქულა
- 35.4. საეკლესიო ქონების აღწერა - 1 ქულა
- 35.5. იმერეთს ცოტა ხნის წინ დამოუკიდებელი მმართველობა ჰქონდა და ახლანდელი მმართველობა სიტუაციას ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ აკონტროლებდა - 1 ქულა
- 35.6. იმერეთი (1ქ), გურია (1ქ), სამეგრელო (1ქ) - 3 ქულა
- 35.7. გლეხები (1ქ), თავად-აზნაურები (1ქ), სასულიერო პირები (1ქ) - 3 ქულა
- 35.8. ოსმალეთის - 1 ქულა
- 35.9. აჯანყებულთა დიდი ნაწილი დააპატიმრეს, ნაწილი - გადაასახლეს, მამულები (ქონება) ჩამოართვეს - 1 ქულა
- 35.10. იმერეთის სამეფოს დაპყრობას//გაუქმებას//ავტოკრატის გაუქმებას - 1 ქულა
- 35.11. ზოგიერთებმა რუსეთის ერთგულება შეინარჩუნეს//არასაკმარისი ძალა//აჯანყებულებს რუსული რეგულარული ჯარის საბოლოოდ დამარცხება არ შეეძლოთ (სუსტი სამხედრო მომზადება რუსეთთან შედარებით)//არაორგანიზებულია//არაერთსულოვნება//რუსეთის სიძლიერე - 1 ქულა

ტესტი იგეგმება გამოცემის პროგრესულ ცენტრთან შეთანხმებით

განათლება უსსოთში

15 მიზანი იმისა, თუ რატომ ბაძავენ რეფორმატორები ფინეთს

ბევრი ფინეთის განათლების სისტემას აღიქვამს, როგორც იმედისმომცემ მოდელს და ძალიან მისაზრებელი არაა, თუ რატომ. რატომ არიან საბან-მანათლებლო რეფორმატორები აღმოსავლეთში ფინეთის განათლებით? რა შედეგები მიიღეს მათმა რეფორმებმა და რატომ?

1. ფინელი მოსწავლეები უმაღლეს ქულას იღებენ საერთაშორისო ტესტებში

PISA-ს კვლევა, რომელიც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ ჩატარდა, ერთმანეთს ადარებს სხვადასხვა ქვეყნებში 15 წლის მოსწავლეების შედეგებს ნიგინერებაში, მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებაში. ფინეთი სამივე საგანში უმაღლესთან მიახლოებულ ქულას იწვევს კორეასა და სინგაპურთან ერთად. აშშ-ს საშუალო დონის მაჩვენებლები აქვს, იმის მიუხედავად, რომ ისინი უფრო მეტ ფულს ხარჯავენ, მოსწავლეები უფრო მეტ საშინაო დავალებს აკეთებენ და უფრო მეტ დროს ატარებენ სკოლაში. ამერიკელი მოსწავლეების აკადემიური მოსწრება ვერ შეედრება ფინელი მოსწავლეებისას. სწორედ ესაა ერთი მიზეზი, რატომ არიან საგანმანათლებლო რეფორმატორები მთელი მსოფლიოს მასშტაბით ფინური საგანმანათლებლო მოდელით შეპყრობილი.

2. სკოლაში მოსწავლეს არ აძლევენ ბევრ საშინაო დავალებას

ფინელმა მოსწავლეებმა საერთაშორისო შეფასებაში უმაღლესი ადგილი მოიპოვეს, თუმცა მათ სხვა ნარმატიული ქვეყნების: სამხრეთ კორეის, სინგაპურისა და ჩინეთის მოსწავლეებისგან განსხვავებით, არ უნებთ საშინაო დავალებების შესრულება. ფინური სკოლები ბევრად ნაკლებ საშინაო დავალებას აძლევენ მოსწავლეებს, ვიდრე აშშ-ს სკოლები. უფროსკლასელებს იშვიათად აქვთ საშინაო დავალება, რომლის მომზადებასაც ნახევარ საათზე მეტი სჭირდება. დაწყებითი და საბაზო კლასების მოსწავლეებს კი საერთოდ არ აქვთ საშინაო დავალება. ფინეთის საგანმანათლებლო მოდელი დაფუძნებულია იდეაზე, რომ ბავშვებს უნდა ჰქონდეთ დრო, რომ იყვნენ უბრალოდ ბავშვები, ხოლო თინეიჯერ მოსწავლეებს არ უნდა ამძიმებდეს მრავალსაათიანი საშინაო დავალებები. როგორც ხედავთ, ეს მოდელი ძლიერ განსხვავდება ბევრი ამერიკული საგანმანათლებლო რეფორმისაგან, რომელიც დავოკატირებას უწევს უფრო ხანგრძლივ და ინტენსიურ მეცადინეობას ნებისმიერ ასაკში. ამიტომაც ბევრს უჭირს გაიგოს, როგორ აღწევს ფინელი მოსწავლეები ამდენს იმ ცივ დროის პირობებში, რომელსაც ისინი ვაკეითილებზე დასწრებასა და დავალებების მომზადებაში ხარჯავენ.

3. მასწავლებლები პასუხისმგებელი არიან

ფინეთის საგანმანათლებლო სისტემის ნარმატიების ამოსავალი წერტილი მასწავლებელია. ფინელ მასწავლებლებს, ამერიკელი კოლეგებისაგან განსხვავებით, უზარმაზარი ავტონომია და ნდობა აქვთ მიანიჭებული. ფინეთს აქვს ეროვნული სასწავლო გეგმა, მაგრამ ის მხოლოდ ზოგადი ნების ნაკრები და არა მკაცრი პროგრამაა. ფინური ეროვნული სასწავლო გეგმა არ შეიცავს ინსტრუქციებს, თუ რა და როდის უნდა გაიარონ მასწავლებლებმა სასწავლო წლის განმავლობაში.

მასწავლებლები, უმეტესწილად, საკუთარი სასწავლო გეგმის შემუშავებაზე, მოსწავლეთა პროგრესის შეფასებასა და საგანმანათლებლო პროცესის ყველა სხვა დანარჩენ აუცილებელ ასპექტზე არიან პასუხისმგებელი. ამგვარი ნდობა პრობლემურია ამერიკელი მასწავლებლებისათვის. მათ საკლასო ოთახში მცირე ავტონომია აქვთ, მოეთხოვებათ ასწავლონ, რომ მათ მოსწავლეებს ტესტებში მაღალი შეფასებები ჰქონდეთ. ისინი არ აღიქმებიან ნამდვილ პროფესიონალებად. აშშ-ში განხორციელებული რეფორმა რამდენიმე ნაკლოვანების აღმოფხვრაზე იყო მიმართული, თუმცა შედეგმა გვაჩვენა, რომ მხოლოდ პირველი დიდი ნაბიჯი გადაიდგა ამერიკულ განათლების სისტემაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაჩენად.

4. სწავლა-სწავლების პროცესი ფოკუსირებულია კრიატიულობაზე

იმის ნაცვლად, რომ ინფორმაციის დამახსოვრებაზე იმუშაონ ან შეისწავლონ თემები, რომლებიც სტანდარტიზებულ ტესტში იქნება მოცემული, ფინელი მოსწავლეები ნახალისებულნი არიან კრეატიული აზროვნებისა და შემოქმედებითი სწავლისაკენ.

კრეატიული თამაშები და პრობლემის გადაჭრა საკლასო ოთახში ცენტრალურ როლს თამაშობს და კლასში არაფორმალური და მშვიდი გარემო ყალიბდება. ამგვარი გარემო, სადაც ერთი შეხედვით „ცოტა რამ ხდება“, ბევრი ამერიკელი განმანათლებლისათვის საკმაოდ უცხოა (იმის მიუხედავად, რომ მონტესორის სკოლები იყენებენ მსგავს მოდელს) და შესაძლოა ვერ იმუშაოს არსებულ საგანმანათლებლო სისტემაში, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია ტესტების ქულაზე. ჯერჯერობით, როგორც ჩანს, ეს მიდგომა მხოლოდ ფინეთში მუშაობს, ფინელი მოსწავლეები კი არა მხოლოდ საერთაშორისო შეფასებებში აჩვენებენ მაღალ ქულას, არამედ სხვა მოზარდებს შორის გამოირჩევიან მაღალი საზოგადოებრივი უნარებით.

5. ფინეთში ყველა სკოლა საჯაროა

ფინეთში არ არსებობს ცნება „კერძო სკოლა“. სწორედ ეს არის ყველაზე კონტრასტული ბევრი სხვა ქვეყნის საგანმ-

ნათლებლო მოდელთან, აშშ-ს ჩათვლით, სადაც ბევრი მშობელი ფოკუსირებულია სკოლის არჩევაზე. ფინეთშიც არსებობს სკოლის არჩევანი, თუმცა ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ ყველა არჩევანი ერთი და იგივეა. ფინეთში დამოუკიდებელი სკოლების მცირე რაოდენობაა, მაგრამ ყველა სახელმწიფოს მიერ ფინანსდება. სკოლებს არ აქვთ უფლება, შეცვალონ სწავლის ღირებულება. უმაღლესი განათლების მიმართაც ამგვარი მიდგომაა. ყველა ფინური უნივერსიტეტი საჯაროა. შედეგად, სოციალური წარმოშობის მიუხედავად, ყველა მოსწავლისთვის საგანმანათლებლო რესურსები ერთნაირად ხელმისაწვდომია. ვერაფერი ვერ იქნება ამერიკული განათლებისაგან იმაზე უფრო განსხვავებული, ვიდრე აღწერილი მოდელი. მით უმეტეს დღეს, როდესაც საჯარო სკოლები, განსაკუთრებით სახელმწიფო დაფინანსების მქონე დამოუკიდებელი სკოლები (charter school) განიხილება, როგორც ამერიკული განათლების ნაკლოვანებების აღმოფხვრის გზა.

6. არ არსებობს სტანდარტიზებული ტესტი

ფინური საგანმანათლებლო სისტემისთვის უცხოა სტანდარტიზებული ტესტები - ამერიკული აკვიატება. მოსწავლეების უმრავლესობა სკოლაში მხოლოდ ერთხელ გადის ნებაყოფლობით ტესტირებას, როდესაც აბარებს სახელმწიფო საატესტატო გამოცდებს (National Matriculation Examination) საშუალო განათლების ზედა საფეხურის დასრულებისას, უხედავად იმისა, ამერიკული უმაღლესი სკოლის (high school) განათლების ექვივალენტს. მრავალეტაიანი ტესტების ნაცვლად, მასწავლებლები გადაზიდვას გადაიან ბავშვების მიერ საკლასო ოთახში დანერგილი ტესტების შეფასებაზე, რომლებსაც ისინი თავად ადგენენ, ხოლო მოსწავლეები, ყოველწლიურად, შემთხვევითი შერჩევით გადაიან ტესტირებას განათლების სამინისტროში. რატომ ასეთი ანტიპათია ტესტების მიმართ? ფინელი განათლების ექსპერტები მიიჩნევენ, რომ განათლების პირველი წლები არ უნდა იყოს აკადემიური ნარმატიებაზე ორიენტირებული, ბავშვებს უნდა ასწავლო, როგორ იცხოვრონ, ისწავლონ და აღმოაჩინონ საკუთარი ინტერესები. ეს შესაძლოა ერთმნიშვნელოვნად რთული განსახორციელებელია ამერიკული საგანმანათლებლო სისტემისათვის, რამდენადაც მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის ტესტირება წარმოადგენს საგანმანათლებლო სისტემის ყველა ასპექტის სისხლხორციელ ნაწილს.

7. მასწავლებლობა ბევრ ტრენინგსა და განათლებას გულისხმობს

ფინეთში ძველებური გამოთქმა - „ვისაც შეუძლია - ქმნის, ვისაც შეუძლია არ შეუძლია - ასწავლის“ - არ მოქმედებს. სწავლება მოიაზრება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და ძნელად მისაღწევი პროფესია. იმისათვის, რომ მასწავლებლად

იმუშაო, მეტიოხი მისი მისი ხარისხი. მასწავლებელთა ტრენინგ პროგრამები დანერგულია ქვეყნის ყველაზე გამორჩეულ პროფესიულ სკოლებში. 10-დან მხოლოდ ერთი შეიძლება კვალიფიცირდეს და ჩარიცხოს მასწავლებლის მოსამზადებელ პროგრამაზე, სადაც კვლავ ტრენინგებს გაივლის ყველა ტიპის მასწავლებელთან (შეზღუდული შესაძლებლობის, ენობრივი ბარიერის მქონე და ა.შ.) მუშაობის შესახებ. ასევე, გადიან ტრენინგებს სხვა სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებში, საკუთარი სასწავლო გეგმის შემუშავებასა თუ მასწავლებლის პროგრესის შეფასებაში. ამავდროულად, ტრენინგებზე ისინი ეტაპობრივად აუმჯობესებენ სწავლების საკუთარ მეთოდებს. მასწავლებლის განათლებაზე ფოკუსირება არ მთავრდება მასწავლებლობის უფლების მოპოვებისთანავე. მასწავლებლებს სპეციალურად უხდებიან იმისთვის, რომ საკუთარი კარიერის განმავლობაში, კვირაში 2 საათი პროფესიულ განვითარებას მოახდინონ. იმისათვის, რომ ეს განხორციელდეს, ფინეთის მთავრობა მასწავლებლებს ეხმარება დააფინანსონ საკუთარი განათლება, რაც ესოდენ ძნელი წარმოსადგენია ამერიკაში.

8. მასწავლებლებს საზოგადოება დიდ პატივს სცემს, როგორც პროფესიონალებს

აშშ-ში მასწავლებლები არ არიან განსაკუთრებით პატივცემულნი, ის კი არა და ბოლო წლებში ისინი დაუკავშირეს და დაადანაშაულებს კიდევ ამერიკის საგანმანათლებლო რეფორმის წარუმატებლობაში. ეს სულაც არ არის სამართლიანი შეფასება და ბევრს სწორება ფინეთზე, მაშინ მასწავლებლებს ყველაზე ნაკლები წვლილი აქვთ განათლების სისტემის წარმატებლობაში. ფინეთში, განსხვავებით აშშ-საგან, მასწავლებლებსა და ადმინისტრატორებს დიდი ავტორიტეტი და სათანადო აღიარება აქვთ. მასწავლებლობა და სკოლის ადმინისტრატორობა ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. ისინი საუკეთესო პროფესიონალები არიან. ფინეთში უფრო რთულია განათლებაში მოხვედრა, ვიდრე სამართალსა თუ მედიცინაში. მხოლოდ საუკეთესოებსა და გამორჩეულებს შეუძლიათ გახდნენ მასწავლებლები. შედეგად, ახალგაზრდებს შორის მასწავლებლობა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული არჩევანია, მიუხედავად საკმაოდ დაბალი საწყისი ხელფასისა, რომელიც წლიურად 29 000 დოლარს შეადგენს (აშშ-ში საშუალო ხელფასი წლიურად 36 000 დოლარია). შტატებში ბევრად ადვილია გახდეს მასწავლებელი, თუმცა ეს პროფესია საზოგადოებისაგან არ იმსახურებს პიროვნულ თუ პროფესიონალურ პატივსცემას. ბოლო დროის საგანმანათლებლო რეფორმები თითქოს ამ სიტუაციის გაუმჯობესებაზე იყო მიმართული, თუმცა, ამის პარალელურად, მასწავლებლებს ხელფასები უმცირდებოდათ, არ იყვნენ ნახალისებულნი დამატებითი განათლების მისაღებად და, რაც მთავარია, ძირითადი აქცენტი მასწავლებლის მიერ ჩაბარებული ტესტების ქულები იყო, ის განსაზღვრავდა მასწავლებლის საქმიანობის აკვარაინობას.

9. ფინეთის საგანმანათლებლო სისტემაში ყველაფერი თანამშრომლობაზეა დაფუძნებული და არა კონკურენციაზე.

ამერიკული სკოლები ყველაფერში პირველობას ცდილობენ, იქნება ეს რეიტინგი საერთაშორისო შეფასებაში, ტესტირება და ასე შემდეგ. ბედის ირონიაა, მაგრამ შესაძლოა სწორედ ეს პირველობის ძიება უკან სწევს ამერიკულ საგანმანათლებლო სისტემაში. ფინელებს სჯერათ, რომ გამარჯვებისთვის შეჯიბრი არაა საჭირო. ეს ამერიკული საგანმანათლებლო პოლიტიკის წარმმართველი ძირითადი ფაქტორი არის არა მასწავლებლებსა და სკოლებს შორის კონკურენცია, არამედ, თანამშრომლობა. ვინაიდან სკოლები არ იბრძვიან პირველი ადგილის მოპოვებისთვის, მათ შეუძლიათ ითანამშრომლონ და ერთად მივიდნენ საუკეთესო გადაწყვეტილებამდე, რადგან სწამთ, რომ გადაწყვეტილება თანამშრომლობის პროცესში ჩართული ყველა სკოლისთვის მომგებიანია. აშშ-ში საგანმანათლებლო სისტემა არ იძლევა ამგვარი თანამშრომლობის შესაძლებლობას. სკოლები პირველობისთვის იბრძვიან, რაც ნეგატიურად აისახება განათლების ხარისხზე.

10. ფინური სისტემა დაფუძნებულია სამართლიანობაზე და არა სრულყოფილებაზე

დაახლოებით სამი ათეული წლის წინ, ფინეთის საგანმანათლებლო სისტემა რეფორმირებას საჭიროებდა. ფინეთის საგანმანათლებლო პოლიტიკის წარმმართველებმა ფოკუსირება სკოლების ერთიანი დონის და არა საუკეთესო სკოლების შექმნაზე მოახდინეს. ყველა სკოლას სწავლისათვის თანაბარი რესურსები უნდა შეეთავაზებინა მასწავლებლებისთვის. თითოეულ ბავშვს განათლების მიღების ზუსტად ერთნაირი შესაძლებლობა უნდა ჰქონოდა, მიუხედავად ოჯახური მდგომარეობისა, შემოსავლისა თუ გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა, ეს ფინური განათლების მთავარი წარმმართველი იდეაა. ფინეთში მოქმედებს სკოლების დაფინანსების ისეთი ფორმულა, რომელიც ყველა სკოლას შორის რესურსების თანაბრად განაწილებს გარანტიის იძლევა, ადგილმდებარეობის და თემის ფინანსური შესაძლებლობების მიუხედავად. და რაც უფრო მნიშვნელოვანია, უმაღლესი განათლება ფინელი სტუდენტებისათვის უფასოა. ამგვარი თანასწორობა აშშ-ში სულ ახლახან აქტიურად განიხილება, განსაკუთრებით კი საზოგადოებრივი მოძრაობა Occupy-ს მსვლელობის ფონზე. სამწუხაროდ, ეს სწორედ იმ პრობლემის ნაწილია, რომელიც ფინეთის ბევრი წარმატებული რეფორმის იმპორტირებას აშშ-ში შეუძლებელს ხდის, რადგან თანასწორობა ფინეთის საგანმანათლებლო პოლიტიკის შედეგია, რომელიც, სავარაუდოდ, ძალიან არაპოპულარული იქნებოდა შტატებში.

11. ფინეთში საგანმანათლებლო წარმატება უფრო მეტი ვიდრე უზარალოდ გაკავთილება

ფინელი მასწავლებლების წარმატება, მხოლოდ საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობაში არ არის. ფინური სკოლები ბავშვების საყოველთაო კეთილდღეობის ხელშეწყობის პრინციპით ფინანსდება. ბავშვთა კეთილდღეობა კი, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, მოითხოვს, რომ თითოეულ სკოლაში იყოს უფასო საკვები, ჯანმრთელობის დაცვაზე ხელმისაწვდომობა. ყველა სკოლაში უნდა იყოს გუნდი, რომელიც ზრუნავს თითოეული ბავშვის, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების კეთილდღეობაზე სკოლაში, უზრუნველყოფს მათთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნას. ფინეთში ბავშვთა კეთილდღეობაზე ზრუნვა მანამ იწყება, სანამ ბავშვი სკოლაში შევა. დგინდება სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობა ბავშვის თემში. ამერიკელი მასწავლებლებს სარგებლობენ მსგავსი უპირატესობებით, მაგრამ არა თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით და ბიუჯეტიდან თანხის გაღების ხარჯზე. ამასთან, ბევრ ხელმოკლე მასწავლეს არ შეუძლია ჰქონდეს საკვების მიღების ან გაკვეთილების შემდგომ აქტივობებში ჩართვის იმედი საკუთარ სკოლაში.

12. ფინეთში გაზრდილია ემიგრანტებმა ვერ შეცვალეს ტესტის შედეგები

ბევრი საგანმანათლებლო რეფორმატორი ამტკიცებს, რომ ფინური განათლების მოდელი ვერ იმუშავებს შტატებში, რადგან ფინეთი ბევრად პატარა და ჰომოგენური ქვეყანაა, ვიდრე აშშ. ამაში არის გარკვეული ლოგიკა, ვინაიდან ფინეთში მხოლოდ 4.6%-ია არაფინური წარმოშობის მოქალაქე. ეს მაჩვენებელი ამერიკაში 12.7%-ს შეადგენს. თუმცა, ეს მაინც არ ნიშნავს, რომ ეს მოსაზრება სწორია. 2000-2010 წლებში ფინეთში ემიგრანტების რაოდენობა გაიზარდა, თუმცა საერთაშორისო შეფასებაში ფინეთის შედეგები მაინც მსოფლიოს საუკეთესო მაჩვენებლებში შევიდა, ტესტებში იმ სკოლებმაც მაღალი შედეგები აჩვენა, სადაც ძალიან ბევრი არაფინური წარმოშობის მასწავლებელი სწავლობდა. უფრო მეტიც, თუ შევადარებთ ფინეთს სხვა მსგავს ქვეყნებს, როგორცაა, მაგალითად, ნორვეგია, ფინეთი მაინც პირველ ადგილზეა. ნორვეგია ძალიან ჰგავს ფინეთს, პრაქტიკულად უმცირესი განსხვავება მათ შორის, მაგრამ მისი საგანმანათლებლო სისტემა უფრო პრო-ამერიკულია, ვიდრე პრო-ფინური. ნორვეგიელმა მასწავლებელმა შუალედური შედეგი აჩვენეს PISA-ს კვლევაში. იგივე შედეგები ითქვას შედეგებზე, შეფიცარისა და დანიაზე. ბევრ რამეში შტატები უფრო მეტად შეიძლება ჰგავდეს ფინეთს, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია, თუკი შევადარებთ იმ 18 ქვეყანას, სადაც სხვა ეროვნების მასწავლებლების მაჩვენებელი იდენტური ან მნიშვნელოვნად უფრო მცირეა ფინეთის მაჩვენებელთან მიმართებაში. უფრო სწორი იქნება, რომ ვაღიაროთ, საგანმანათლებლო პოლიტიკა და პრაქტიკა წარმატების უფრო მნიშვნელოვანი ინდიკატორია, ვიდრე მოსახლეობის რაოდენობა ან ეთნიკური შემადგენლობა – ესეც ნათელი გაკვეთილი უნდა იყოს მათთვის, ვინც იბრძვის მკვეთრად მრავალეროვანი მასწავლებლების ჯგუფისა თუ ახალი ემიგრანტების განსახლებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში.

13. ფინეთი ცდილობს, შექმნას ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ფინეთს ერთი რამ აქვთ საერთო: მათ სურთ შექმნან ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა. შტატები იბრძვის მრეწველობის არსებული მოდელი მაღალტექნოლოგიური მრეწველობითა და მომსახურებით ჩანაცვლის, ფინეთს ბევრად უფრო ზედმეტი ხანა უდგას. 1970 წლიდან მოყოლებული ფინელი პოლიტიკოსები აცნობიერებდნენ, რომ მათ არ შეუძლიათ მომავალი აშენონ საკუთარი ბუნებრივი რესურსებისა და მცირე ინდუსტრიის იმედი. ამის სანაცვოდ, მათ ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის შექმნა დაიწყეს. საგანმანათლებლო სისტემა გახდა საზოგადოებრივი მისიის ნაწილი. მისი კი გულისხმობდა არა ზოგიერთი მასწავლის, არამედ ყოველი მათგანის სწავლის დონის გაუმჯობესებას. შედეგად, ფინელი სტუდენტები უკეთ მომზადებული და კონკურენტუნარიანი არიან საერთაშორისო ეკონომიკაში, მაშინ როცა შტატებში კვლავაც დიდია ამის სურვილი და საჭიროება. იმისათვის, რომ წარმატებას მიაღწიონ, ის ძირითადი გაკვეთილები, რომლებსაც ფინური სკოლები გვასწავლიან პოლიტიკაზე უნდა აისახოს. საუკეთესო სკოლების არსებობა საკმარისი არ არის, თუკი მათზე თანაბარი ხელმისაწვდომობა არ აქვს ყველა სტუდენტს.

14. ფინურ სკოლებში პოზიტიური სსსწავლო გარემო

მიდით ფინეთის ნებისმიერ სკოლაში და თქვენ ნახავთ კლასებს, რომლებიც უსაფრთხოა, გარემო ხელს უწყობს მასწავლელთა მოტივაციის ამაღლებას, ხანდახან შთაბეჭდილება არქიტექტურითა და დიზაინითაც კი გამოიჩინება. ამას გარდა, საკლასო ოთახები პატარა და არა გათვლილი 24 და მეტ მასწავლებელზე. მასწავლებლებს 24 მასწავლებელზე ბევრად ნაკლები სწავლობს. მასწავლებლები ნახალისებულნი არიან, რომ ითამაშონ, გაერთონ და აითვისონ ხელოვნება. ფინეთის ყველა სკოლაში, დაახლოებით, იმდენივე მასწავლებელია, რამდენიც მხოლოდ ქალაქ ნიუ-იორკის ყველა სკოლაში, მაგრამ ბევრად ნაკლები მასწავლებელი სწავლობს. ფინეთის სკოლებში 600 000 მასწავლებელი სწავლობს, ხოლო ნიუ-იორკში 1.1 მილიონი, რაც იმას ნიშნავს, რომ ფინეთში მეტი მასწავლებელი აქცევს ყურადღებას ბავშვებს და ყველა ბავშვი, განსაკუთრებით კი ისინი, ვისაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები აქვთ, მეტ ყურადღებასა და მხარდაჭერას იღებენ. მხოლოდ ზოგიერთ ამერიკულ საკლასო ოთახშია მსგავსი სიტუაცია, მაგრამ უმრავლესობაში – არა. ამერიკაში მასწავლებლებზე, რესურსებსა და ხელოვნების დარგებზე ხელ-



მასწავლობა დიდწილად მშობლების ეკონომიკურ პრივილეგიებზეა დაფუძნებული.

15. ფინეთის წარმატების ძირითადი ელემენტი წლია

ფინეთში დიდი სკოლებისა და მასწავლებლების მიმართ ნდობა, რადგან მათ ბავშვების განათლების უზარმაზარი პასუხისმგებლობა აკისრიათ. მასწავლელთა პროგრესის მუდმივი მონიტორინგისთვის არ არსებობს სკოლების ინსპექცია ან სტანდარტიზებული ტესტირება. მშობლები ენდობიან მასწავლებლებს, როგორც კვალიფიცირებულ პროფესიონალებს, მასწავლებლები ენდობიან ერთმანეთს და თანამშრომლობენ, რათა გადაჭრან საერთო პრობლემები, ხოლო დირექტორები ენდობიან თავიანთ მასწავლებლებს, რადგან ისინი ერთ დროს თავადაც მასწავლებლები იყვნენ. ეს იმდენად პოზიტიური სისტემაა, რომ მხოლოდ ძალიან მცირე რაოდენობის მასწავლებელი თუ ირიცხება სკოლიდან (1%-ზე ნაკლები), ხოლო მასწავლებელთა რიცხვი პრაქტიკულად არ მცირდება.

ოცდაათი წლის წინ ფინეთის საგანმანათლებლო სისტემა ისეთივე უღიმამო და არათანასწორი იყო, როგორც დღეს ამერიკის შეერთებული შტატების. ის ეყრდნობოდა წარმატების განმსაზღვრელ იმავე ფაქტორებს (მაგალითად, სტანდარტიზებული ტესტები და მასწავლებლებზე დაკვირვება), რომლებსაც დღეს შტატებში ეყრდნობიან. მასწავლებლებს განათლების განსხვავებული დონე ჰქონდათ და მასწავლებლებს არ ჰქონდათ თანაბარი ხელმისაწვდომობა რესურსებზე. მათ მოახერხეს ყველაფერი შეეცვალებათ სამ დეკადამი. მიუხედავად იმისა, შეძლებს თუ ვერა ამერიკის შეერთებული შტატები ზოგიერთი იმ ფაქტორის იმპორტირებას, რაც ესოდენ წარმატებულს ხდის ფინეთის სკოლებს, მას შეუძლია ჰქონდეს იმედი, რომ გონივრულ რეფორმებს შეუძლიათ ნამდვილი და მდგრადი შედეგის მოტანა ქვეყნის საგანმანათლებლო პოტენციალისათვის, რაც ფინეთის საგანმანათლებლო სისტემის მკვეთრმა ცვლილებებმა დაადასტურეს.

თარგმნა ანა ცხომერაშვილი
გვებგერდიან – <http://www.onlineuniversities.com>

თბილისის 26-ე საჯარო სკოლის პედკოლექტივი იუნყე-ბა, რომ გარდაიცვალა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
საიუნა ყაულაშვილი
და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ასი წლის გადასახედიდან

1911 წლის 4 დეკემბერს ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში გამართულმა კრებამ მიიღო დადგენილება, რომ ქუთაისში შექმნილიყო ისტორიისა და ეთნოგრაფიის დამოუკიდებელი საზოგადოება. 1912 წლის 17 ივნისს მთავრობამ დაამტკიცა წესდება, რომლის თანახმადაც დაარსებულ იქნა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება (საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დამფუძნებლებად ითვლებიან: იოსებ ოცხელი, სიმონ ოცხელი, ტრიფონ ჯაფარიძე, სამსონ ყიფიანი, კონსტანტინე ჯორჯიკია). არჩეულ იქნა საზოგადოების გამგეობა 13 კაცის შემადგენლობით. გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ტრიფონ ჯაფარიძე, მუზეუმის გამგედ – გრიგოლ გველესიანი, თავმჯდომარის ამხანაგად – სამსონ ყიფიანი.

საზოგადოების უმთავრეს მიზანს ქუთაისში ქართული მუზეუმის დაარსება წარმოადგენდა, სამუზეუმო ფონდის შესაქმნელად, უწინარეს ყოვლისა, საჭირო იყო ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალების შეგროვება. 1922 წლის 1 დეკემბერს, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის ბრძანებით, დაარსდა ქუთაისის სახელმწიფო საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი, კუთვნილი სამუზეუმო კოლექციებისა და ბიბლიოთეკის ბაზაზე. ამის შემდეგ, აღნიშნული საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმში სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანი გახდა. ბევრი რამ გაკეთდა ასი წლის განმავლობაში. 1923 წლის 10 ივნისს ქალაქის რეალურ სასწავლებელში საზეიმოდ გაიხსნა ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმის პირველი ექსპოზიცია (ამჟამად – ანს უნივერსიტეტი). ამის შემდეგ დაიწყო შეკრებილი მასალების სამუზეუმო წესით დამუშავება, თუმცა განსაკუთრებული ყურადღება შეგროვებით მუშაობას, ახალი ფონდებით დაკომპლექტებას და კულტურის ძეგლთა დაცვას ექცეოდა.

1938 წელს შედგა მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს პირველი სხდომა. სამეცნიერო საბჭოში შედიოდნენ: ი. კობახიძე, ტრ. ჯაფარიძე, ქ. სანიკიძე, ე. ბურჭულაძე, გ. კოკჩაშვილი, მ. მახათაძე, დ. ოყრეშიძე, ვ. აბაშუკელი.

მუზეუმში ეტაპობრივად განთავსდა: გელათის მონასტრის სიმდიდრე, ქუთაისის საკულტო დაწესებულებებში არსებული სამუზეუმო ნივთები, ჯრუჭის მონასტრის ხელნაწერი წიგნები და სხვადასხვა არქივები, მონამეთას სიძველეები, არქეოლოგიური ნივთები. მუზეუმში დასაწყისიდანვე ტარდებოდა სამეცნიერო სესიები, იბეჭდებოდა თეზისები, ტარდებოდა ექსპედიციები, საქალაქო ღონისძიებები.



გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო სამუზეუმო მასალების გამოსაცემად მომზადება. მუზეუმის პირველი კრებული გამოვიდა 1968 წელს, მისი მიზანი იყო ფონდებში დაცული მასალების სამეცნიერო ბრუნვაში შეტანა. დღემდე გამოცემულია 21 კრებული. ამჟერად იბეჭდება 22-ე, რომლის მალე დაიბეჭდება მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა.

„ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი რესპუბლიკური დაქვემდებარების მუზეუმი. იგი არის სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულება, ძირითადი საცავი ბუნების, ისტორიის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების, რომლებიც დაკავშირებულია ძველი კოლხეთის ნაწილის, შემდეგდროინდელი იმერეთის ისტორიასთან. ამ მიზნით ქუთაისის მუზეუმი სწავლობს საქართველოს ამ მხარის წარსულს დაწყებული უძველესი დროიდან დღემდე. აკომპლექტებს ფონდებს, აწყობს სტაციონარულ და მოძრავ გამოფენებს, რომლებიც წარმოადგენს ბაზას სამეცნიერო-საგანმანათლებლო და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობისათვის“.

ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის განყოფილებებია: არქეოლოგიისა და პალეონტოლოგიის, ხელნაწერ და ძველნაბეჭდ წიგნთა კოლექციების, ეთნოლოგიის, სახვითი ხელოვნებისა და ძვირფასი ლითონების, ახალი ისტორიისა და განათლების, სამეცნიერო-სარესტავრაციო და საექსპოზიციო, ასევე სამეცნიერო

ბიბლიოთეკა და ტურისტული საინფორმაციო ცენტრი.

ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ძეგლები 200 000 ერთეულს აღემატება, რომლებიც მარტო რაოდენობრივი თვალსაზრისით როდია საინტერესო, ისინი უწინარეს ყოვლისა მეცნიერული ღირებულებით იმყრობს ჩვენს ყურადღებას.

საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქუთაისის მუზეუმს არაერთჯერ ჰქონდა რთული პერიოდი. ქართველი კაცის იღბლით იარა, მწიგნობრობითა და ადგილობრივი ელიტის შემოინახა ფასდაუდებელი სიმდიდრე. დიდი ადამიანების რუდუნებით შეკრებილი ისტორიულმა ნივთებმა მრავალჯერ იხილა ახალი, მაგრამ პატარა და მოუხერხებელი საცავები. თანამშრომელთა მუდმივი ზრუნვის საგანი იყო მათთვის უკეთესი პირობების შექმნა, მაგრამ დღემდე ეს ვერც ერთი თაობის მუზეუმელთა მიერ ვერ მოხერხდა. მუზეუმს მუდამ ღირსეული დირექტორები მართავდნენ. ისინი, მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც ზრუნავდნენ ახალ, სამუზეუმოდ მოხერხებულ შენობაზე. ბევრჯერ ისე წარიმართებოდა საქმე, გვეგონა, დღეს თუ ვგადასახლობს სახელობას ვიხეივბდით, მაგრამ ყოველთვის იმედგაცრუებულები ვრჩებოდით, სანატრელი შენობა კი, არა და არ ჩანდა. ბევრჯერ იმის შიშიც კი გვქონდა, რომ ქალაქის გარეუბანში – ნიკეას დასახლებაში მოგვიწევდა გადასვლა, რა თქმა უნდა, არასამუზეუმო შენობაში, ან როინსპირა კინოთეატრ „ქუთაის-

სის“ მიმდებარე ტერიტორიაზე აშენდებოდა ახალი საცავი (მაგრამ აშენდებოდა კი?), ვერ იქნა და ვერც ერთმა მთავრობამ ვერ გაიმეტა თანხა ამ უნიკალური ექსპონატებისა და მისი თავმშენიერი თანამშრომლების საკეთილდღეოდ. თუმცა, საბჭოთა პერიოდში მშენებლობისათვის საჭირო რკინა-ბეტონი თავზესაყურელად იყო.

მეოთხე წელია, მუზეუმს მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი, ბატონი ომარ ლანჩავა ხელმძღვანელობს. მოსვლის დღიდან ისიც, ბევრ სხვა საქმესთან ერთად, სამუზეუმო შენობისათვის იბრძოდა. როცა დარწმუნდა, ახალ შენობას არავინ აგვიგებდა, არც ქალაქის ცენტრში გაგვიჩერებდა და არც ხუთ სხვადასხვა შენობაში „მდგმურებად“ აგვიტანდა, დაიწყო ზრუნვა იმისათვის, რომ შედარებით საუკეთესო ვარიანტი მოეძებნა და აი, თვალი დაადავა ქალაქში ერთ-ერთ საუკეთესო, ეროვნული ბანკის გამოთავისუფლებულ შენობას, რომელიც აგებულია 1894-96 წლებში, ინჟინერ სახაროვის პროექტით. 1921 წელს, გასაბჭოების შემდეგ, აქ განათავსეს ქუთაისის სსრკ სახელმწიფო ბანკის ქუთაისის განყოფილება, 1992 წლიდან კი საქართველოს ეროვნული ბანკის ფილიალია.

2011 წელს ამ შენობაში ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი განთავსდა. ეს ვარიანტი დიდი ძალისხმევით შეძლო ბატონმა ომარ ლანჩავამ. საკუთარი ძალე-

ბით დავაბინავეთ აურაცხელი ქონება და შევეუქმნით მათ ნორმალური პირობები. შენობის ჰოლში ფეხის შედგმისთანავე მიღებული შთაბეჭდილების ქვეშ მყოფი დამთვალიერებელი ულამაზეს საგამოფენო დარბაზში ხვდება. ამავე შენობაში განთავსებულია საფონდო განყოფილებები, კაბინეტები ადმინისტრაციისათვის, სალექციო-საპრეზენტაციო დარბაზი...

წურავინ იფიქრებს, რომ ჩვენ მიღწეულით კმაყოფილი ვართ, მუზეუმის ადმინისტრაცია სულ ახალი საცავების გამოძებნაზე ფიქრობს. რამდენიმე თვის წინ მუზეუმს საკუთრებაში გადმოეცა პუშკინის ქ. N16-ში მდებარე შენობის ნაწილი, ახლად გადმოცემულ საცავში შესანიშნავი პირობები შექმნა ახალი და უახლესი ისტორიისა და განათლების განყოფილებას, ფოტო-ფონო ფონდს, ხელნაწერ და ძველნაბეჭდ წიგნებს, ეთნოლოგიის ნაწილს (რისთვისაც განყოფილების ყველა თანამშრომელი მადლობას უხდის მუზეუმის დირექტორს), აგრეთვე აქ მოთავსდა რამდენიმე კაბინეტი. ფართის ნაწილი ასათვისებელია სამეცნიერო ბიბლიოთეკის მიერ, თუმცა ჩვენ ჯერ კიდევ მოველით გაფართოების ახალ ვარიანტს.

თვალს ვავლებთ არც თუ ისე შორეულ წარსულს, ვისხენებთ ძველ მუზეუმელთა მოგონებებს, როცა საკმარისი სკამიც არ იყო ყველა თანამშრომლისათვის, მუზეუმის მთელ შენობაში კი ერთი სველი ნერტილიც არ ფუნქციონირებდა და გული სიამით გვევსება, რადგან დღეს სამუზეუმო მასალებს შექმნილი აქვს ისეთი პირობები, როგორც წინათ, არც ერთი ხელისუფლებისა და დირექტორის დროს არ ჰქონია. ამჟამად მუზეუმის ძირითად შენობაში მუშაობს სავენტილაციო სისტემა და საჭიროებისამებრ მოგვეწოდება თბილი და ცივი ჰაერი, გვაქვს ელექტროენერგიაზე და ბუნებრივი აირზე მომუშავე ცენტრალური გათბობა, ყველა განყოფილება აღჭურვილია კომპიუტერით, რომელიც საშუალებას გვანძლევს ელექტრონულ ვანარმოთ ფონდების ინვენტარიზაცია, ვიმუშაოთ სამეცნიერო პრომებზე, შევადგინოთ ელექტრონული პასპორტები და ასე შემდეგ. გასაკვირი არ არის, 21-ე საუკუნეში უკეთესი ყოფაც ვისურვოთ. ერთადერთ სურვილს და აუცილებლობას წარმოადგენს საგამოფენო სივრცის გაზრდა და დიდი იმედი გვაქვს, რომ ხელისუფლება დაგვეხმარება ამ და სხვა პრობლემების მოგვარებაში.

ლია გააუნიანი,
მზია ზარნაძე
მუზეუმის მეცნიერი
თანამშრომლები





ნიენის
თარო

მიმდინარეობს

ხელმოწერა



კლასიკური პოეზია



სამი
ტომის
ფასი
21 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

ერთი
ცალის
ფასი
6.5 ლარი

1. ცისფერი ბაღვინები - დეზა
2. ჰორაციუსის ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწყობსა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლუხ-გაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რაინი
6. მენინები - ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბალი - კლოდ მონე
9. უძღვი შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. საძანელა - რენუარი
11. საპირაო განცხადება, ბრან-შატის კუნძულზე - უორჰ სიორა

თემატური კლასიკები
დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ძართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პრეფიქსები
9. რიცხვები
10. სილ-პოსტნული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საძარტველო

ერთი
ცალის
ფასი
2.5 ლარი

თემატური
კლასიკები მატალი
კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საძარტველოში
3. გარეული ცხოველები საძარტველოში
4. მწერები
5. ძართული ხალხური საკრებები
6. ძველმედიკალი საძარტველოში
7. საძარტველო მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნივთები - სიტუაციური წყარო
11. ქველი რეზი
12. მსოფლიოს დროები
13. ზღვის დინებები
14. ძირითადი ელემენტების პერიოდული სისტემა
15. საგზაროს წარმოშობა
16. ძარტული მემორის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი
ცალის
ფასი
3 ლარი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის

მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა ბელოუზანი
6. აკაკი ბაძრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაულო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ გრიგაშვილი
11. პულიკარე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკოვ სუცესი
14. იონა საბანიძე
15. დავით გურამიშვილი
16. გენიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. აკაკი წერეთელი
20. რუსთაველი
21. თეიმურაზ I
22. ვახტანგ VI
23. გიორგი მერჩულე
24. გრიგოლ ორბელიანი
25. დავით აღმაშენებელი
26. გურამ ასათიანი
27. გრიგოლ როგაძიძე

ერთი
ცალის
ფასი
4 ლარი

მიმდინარეობს ხელმოწერა. შემოგვიერთდით!

თითო ტომის ფასი - 12 ლარი




„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

- ვიქტორ ჰიუგო - პარიზის დთვისშობის ტაძარი
- ემილ ზოლა - ქალთა გადნეობა
- ალექსანდრე დიუმა - კავკასია
- ფიოდორ დოსტოევსკი - მკვდარი სახლის ჩანაწერები
- ჰენრი რაიფორ ჰაბარდი - მონტესუმას ასული
- სტენდალი - წითელი და შავი
- ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
- ჯონათან სვიფტი - გულივერის მოგზაურობა
- ერის მარია რემარკი - საში მგომბარი
- შოქარლო დე ლაკლო - სახიფათო კავშირები
- ალექსანდრე ვუშკინი - მოთხრობები
- შტაფან ცვაიგი - მოუთმენლოზა გულისა
- მინ რიდი - კვარტარონი
- ვილჰელმ ჰაუფი - ლისტანუბანი
- თეოდორ დრაიზერი - დიკო კარი
- ნიკოლაი გოგოლი - რჩეული მოთხრობები


- მარბარტ დიურასი - საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან
- ალბერ კოანი - დედაჩემი
- ჯონ გოლდსმითი - რჩეული მოთხრობები
- პროსპერ მერიმე - იღელი ვენერა
- უ. სომერსეტ მოემი - ჭრელი საბურველი
- ჯონ ბრაინი - გზა ელიტისაკენ
- ჯეკ ლონდონი - დიდი სახლის პატარა დიასახლისი
- გუსტავ ფლოპერი - მაღამ გოგარი
- ონორე დე ბალზაკი - მამა გორიო

გამოცემლობა „დიოგანეს“ და გაზეთ „ახალი განათლება“ სპეციალური პროექტი

<p>კომენტარული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი თამაზ ვასსაძე</p> <p>11 ლარი 9 ლარი</p>	<p>„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“</p> <p>თამარ ბეროზაშვილი</p> <p>10 ლარი</p>	<p>საყვარელი ენციკლოპედია „სპორტი“</p> <p>10 ლარი 4.90 ლარი</p>	<p>საყვარელი ენციკლოპედია „მუსიკა“</p> <p>17 ლარი 14.90 ლარი</p>
--	--	--	---




მსოფლიოს ისტორიის ენციკლოპედია ~~45~~ 35 ლარი




საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია ~~36~~ 26 ლარი




ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია ~~40~~ 30 ლარი



ილია ჭავჭავაძე, ორთომეული 16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი 5.70 ლარი



„რა არის რა“ 50-ტომიანი ერთი ტომის ფასი ნახევრად 11 ლარისა 9 ლარი

- ◆ მსოფლიოს 7 საოცრება
- ◆ ავტომობილი
- ◆ ამინდი
- ◆ დიდი აღმოჩენები
- ◆ ხალხთა დიდი გადასახლება
- ◆ გამომგონებები
- ◆ განძის ძიება
- ◆ გლადიატორები
- ◆ ჩვენი დედამინა
- ◆ დრო და კალენდარი
- ◆ კველი ეგვიპტე
- ◆ ევროპა
- ◆ ვიკინგები
- ◆ კოშკები
- ◆ კრიმინალისტიკა
- ◆ გათემბიტიკა

- ◆ მცენიერებები
- ◆ მსოფლიოს რელიგიები
- ◆ ქველი რფი
- ◆ ქველი საბარქმეთი
- ◆ საგურბი
- ◆ უღაბო
- ◆ უკველესი ადამიანები
- ◆ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ◆ ფიზიკა
- ◆ ჩაქირული ქალაქები
- ◆ ქიზია
- ◆ მემორები
- ◆ ოლიმპიური თამაზები
- ◆ მთები
- ◆ ჯანსაღი კვება
- ◆ არქიტექტურა

ქართული მწერლები

- ◆ ვაჟა-ფშაველა (10-ტომიანი), I-V ტომი - 11 ლარი
- ◆ მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომიანი), I-VII ტომი - 11 ლარი
- ◆ ლევან გომთუზ (7-ტომიანი), I-II ტომი - 16 ლარი
- ◆ ედიშერ ყიფიანი (2-ტომიანი), I-II ტომი - 15 ლარი
- ◆ კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომიანი), I, VI, VII, VIII ტომი - 16 ლარი, IV-V ტომი - 18 ლარი
- ◆ რევაზ ინანუაშვილი (6-ტომიანი), I-VI ტომი - 12 ლარი
- ◆ ვახტანგ ჭელიძე (9-ტომიანი), I-VI ტომი - 12 ლარი
- ◆ ბრიგოლ აბაშიძე (6-ტომიანი), I-IV ტომი - 12 ლარი
- ◆ ოტია იოსელიანი (10-ტომიანი), I-X ტომი - 12 ლარი
- ◆ თამაზ ჭილაძე (6-ტომიანი), I-VI ტომი - 10 ლარი
- ◆ გოდერძი ჩოხელი (5-ტომიანი), I-V ტომი - 13 ლარი

გითითებულია თითო ტომის ფასი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე: მიმღები - შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735 ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22 შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!



მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტაბაღაშვილის ქ. №3 ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 577 132283. www.axaliganatleba.ge

E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735 ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X



9 772233 386008 >